ჩვენი თეატრი

4

თბილისი
1939

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური ორგანო

13988

4

საერთაშორისო ეკონომიკური
ინსტიტუტის ბიბლიოთეკა

სახელმწიფო გამომცემლობა
თბილისი
1939 წელი. აპრილი

შინაარსი:

მხატვრული ლიტერატურა

	გვ.
გიორგი ძიგვაშვილი — გაზაფხული მარაბდის სასაფლაოზე	3
ზონდო კეშელავა — შევჩენკო საპყრობილეში	5
კონსტანტინე ჭიჭინაძე — ეამგადასული	7
გრიგოლ აბაშიძე — გამოსალმება	8
მარიკა ბარათაშვილი — ლექსები	9
ბორის ჩხეიძე — საწაბლეს გადაწვა	12
გიორგი კალანდაძე — ფინეთის უბე პეტერგოფიდან	32
ლადო ასათიანი — სამი ლექსი	33
მირზა გელოვანი — შავნაბადა	35
რევაზ მარგიანი — მეწყერი	46

კლასიკური მემკვიდრეობა

ტარას შევჩენკო — * * * (ლექსი), თარგმანი ი. მჭედლიშვილისა	48
„**დავით სასუნცი**“ — ნაწყვეტი (თარგმანი **რაჟდენ გვეტაძისა**)	50

კრიტიკა

დოც. ანა ჩხეიძე — ტარას შევჩენკო.	56

ბიბლიოგრაფია

ვლ. ჯიბუტი — ლევან მეტრეველის „ცხრათვალა მზე“	63

პასუხისმგებელი რედაქტორი **ირაკლი აბაშიძე**
პასუხისმგებელი მდივანი **ნიკოლოზ აბიაშვილი**

წარმოებას გადაეცა 10/V — 39 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/VI — 39 წ. ჟურნალის ზომა 7 × 11½. ქაღალდის ზომა 75 × 105. ფორმ. რაოდ. 4. შეკვეთის № 1260 მთავლიტის რწმ. № 2022 ტირაჟი 3500.

სახელგამის პოლიგრაფტრესტის სტამბა. ეორესის ქ. № 5

ბ. ჟიგვაშვილი

გაზაფხული მარაბდის სასაფლაოზე

აქაც ნებივრობს ეს გაზაფხული,
მთებს დაჰფენია ცისკრის ფერებად.
ჯერ არგანცდილი, ჯერ არნახული
მოაქვს სითბო და ბედნიერება
აქაც ლოდები მზეს უცინიან,
ტყეს კი ნიავიც არ აგულისებს —
ფრთხილად!... აქ დაღლილთ ჩაუძინიათ
ცხრა ძმა, ცხრა ვაჟკაც ხერხეულიძეს!...
ამ ქვებს რომ ხედავ, ზმებს და ანდაზებს,
ბევრი ცრემლს ითხოვს, ბევრიც შენდობას.
აქ საქართველოს სძინავს გარდასულს,
მის დიდ დარდებს და დიდ უბედობას,
აქ ოძელაანთ ტანჯულ მოყმეთა
ბრაზს დაუდვია ნავთსაყუდარი...
და თუ გლეხკაცმა ძეგლს ამოკვეთა
შოთას სიბრძნე და თავის გუთანი,
თქვენც აქ ჩამკვდარხართ, მარაბდაშივე,
თქვენს ქვებს ხავსილა შემორჩენია... —
ერთი ყმა გყავდათ ბარათაშვილებს,
ერთი ფერმკრთალი, კოჭლი გენია.
გწყევლათ... გაგშორდათ გულგამეხებით,
თქვენ კი არც იცით — გყავდათ თუ არა...
თქვენ რა დასტოვეთ!... მტკივან ფეხებით
მან საუკუნეს გადმოუარა!
დღეს კი მზე ათბობს მის დიდ სამარეს,
გვზრდის და სიკვდილიც რომ არ გვეძნელოს —
მტერს შეგვაომებს, ომს შეგვაყვარებს,
თავის შუქს გვასმევს და სადღეგრძელოს!

ვერა, ვერ გავძლებ, მთებო, უთქვენოდ,
მე თქვენი მზე მწვავს, თქვენი თვისება,
ათას წელს გავლევ სულმოუთქმელად,
სამარე თქვენ ქვეშ თუ მეღირსება.
თუ მიმღერებენ გმირნი ქებულნი,
ბნელ სამარეში ნამარხულევი,
ამ მთებისათვის თავდადებულნი
და ამ მთებშივე ჩამარხულები!
სანამ ცოცხალ ვართ — თქვენთან ვიქნებით,
მოვკვდეთ — დაგვმარხონ თქვენსავ მდგმურებად...
შავს ნუ მოისხამთ მაინც, ბიჭებო, —
თეთრი აპრილი დაგემდურებათ.
მტერს ლხენით შევხვდით, ფარის ჟრიალით —
ომის წადილით შერხეულისა,
და ცხრა კი არა, ათი კი არა,
მილიონი ძმა ხერხეულიძე.
იხმეთ!... თქვენს დროშებს ძირს არ დახრიან,
საფლავებშიაც ჩავლენ გმირებად,
და მტერს იმნაირ დღეს დააყრიან,
აი ამ მკვდრებსაც გაეცინებათ!...
... დღეს კი მზე არი... ზმებს და ანდაზებს
თვალს მოავლებს და მთებში შეტოპავს...
აქ საქართველოს სძინავს გარდასულს,
მის დიდ დარდებს და დიდ უბედობას,
აქ ქვის ძეგლებიც მზეს უცინიან,
ტყეს კი ნიავიც არ აგულისებს...
ფრთხილად!... აქ დაღლილთ ჩაუძინიათ:
ცხრა ძმა, ცხრა ვაჟკაც ხერხეულიძეს!

ბოლდო კეშელავა

შევჩენკო საპყრობილეში

„იძულებული გავხდი ვმალო ლექსები, რვეული, ვიმღერო და ვიტირო მწარე ცრემლებით".

ტარას შევჩენკო

რუხი ღამეა, საპყრობილის ველური ღამე;
მთვარე არსით სჩანს, ვარსკვლავები ცად კრიალებენ;
ისმის შორიდან ქარიშხალის შფოთი, ღმუილი,
და პატიმრები თვალთ წკვარამში აბრიალებენ.
ირგვლივ ღამეა, მხოლოდ რუხი, ველური ღამე,
მათთვის მზე არის, რომ სინათლე ჩამოაქროლო...
ბორკილებიდან დახრულები შლამში ღოღავენ,
შვების მომგვრელი და ნუგეში — გმინვაა მხოლოდ.
წაიღო ღამემ მათი ღონე, ტკივილში თვლემენ
და შეპყრობილი რაინდები ჰყრია მორეხად.
ვერ საუბრობენ, სევდის ბურანს თუს ვერ ართმევენ
და მათ ყელს შერჩა მხოლოდ გმინვის განმეორება.
უცებ მკრთალი ხმით ბნელ კუთხიდან სიმღერა ისმის,
თითქოს ბუჩქებში ეგალობდა ნაზი ფრთოსანი,
ჰგოდებს, გოდებას მომღერალი დროდადრო ისვრის
და მწუხრით სავსე სტრიქონებით მოსთქვამს მგოსანი:
„სულ ძილი, ძილი მაგოდებს,
შეძიმეა ძილის მუქარა,
არავის აგონდებოდე,
იყავი ქვეყნად თუ არა.
სად ხარ ბედო? სად ხარ ბედო?
არად მაგდებ გულით ხმიერს,
კარგი თუ ვერ გაიმეტო,
შხამი მაინც დაანთხიე".
და ამ სიმღერას ბოლმით სავსე მღერის შევჩენკო,
მის ხმას ჩახლეჩილს, უერთდება დახშულთა ხვნეშა.
ის თვალს გაახელს სიბნელეში და დაიხუვლებს:
ეხ, მეგობრებო, იქნებ სწუხართ და ვსურთ შევჩერდე,

მაგრამ არ ძალმიძს, მწამს სიმღერა თითქოს კარს აღებს,
თითქოს მოისმის ბორკილების მსხვრევა და ხლეჩა.
მეტს ველარ ვიტან, ამ წყვდიადში ჩემს ძვლებს და ძარღვებს
ბევრი უთქმელი ლექსები შერჩათ.

მწუხრში მოსთქვამდა, უქმურ დროში, დიდი კობზარი
ეგდო საკანში ბორკილებით ნაალერსები.
შემოსცქეროდნენ მას თვალები დარდით დამზრალნი,
არ ჰქონდა ნება მათ შესახებ ეთქვა ლექსები.
საპყრობილეში დროს წაართვა მან მყუდროება,
ხან ცრემლს ანთხევდა, ხან უნდოდა მგესლავად ღრენა,
ის გააცოცხლა, გაამხნევა დიდმა დროებამ,
ხალხის მგოსანი ვაჟკაცურად ხალხში ამღერდა.

კონსტანტინე ჯიჯინაძე

ოძგარასული

როგორც ზამთარში ყურძნის მტევანი,
ისე დამჭკნარა სახე ბაბუის.
აღარსად ჰყავს მას ქეთევანი,
მისი წიქარაც აღარ დაბუვის.

აგერ სახლის წინ დამჯდარა ქვაზე,
ძარღვებს ახარებს ნათელი დარით.
და, ვით განაბულს შორეულ ხმაზე,
ძირს დაუღია ჩიბუხის ტარი.

ელავს ბოსტანი მზესუმზირითა,
მიწას უქადის ღრუბელი წვიმას.
ამდროს უეცრად ჯოხის ჯირითით
წინ შვილისშვილი წარუდგა იმას.

უცებ შეტოკდა, ვით კოჭლი ყვავი,
მოკუტულ ტანზე ჩოხა გადიცვა.
ჩიფჩიფით ამბობს: «ბავშვი ვიყავი,
საიაშვილო ტყე რომ გადიწვა".

და, აღველფილი სასტიკ ღადარად
მას აგონდება ფიჭვნარის ფერდი.
იდგა ის მაშინ, ბიჭი პატარა,
თავის მოკუტულ ბაბუის გვერდით.

ᲖᲠᲘᲖᲝᲚ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲠᲗᲔᲑᲐ

წახველ, რომ თავი აღარ მაჩვენო,
მეც წავალ, მაგრამ რაღა მეშველოს,
ოქროს ბეჭედში თვლად ჩასაჯენო,
და გულის ჯიბით სატარებელო.

მე შენგან ჩრდილი მინდოდა მცირე,
რათ გამიტყორცნე ბედი ჯირითად,
საკუთარ ილბალს თვითონ დავცინებ
და ჩუმად გავალ შენი ჩრდილიდან
რა არი ჩრდილი!..
ფოთლებს აყვითლებს
და ბალახები ჩრდილში ხმებიან,
მაგრამ უზრუნველ პოეტს, ნალვინევს
და გაფრენილი ჩიტის ხმებიანს,
მარტო შენს ჩრდილში დახედავს შუქი,
ამაღლებს ეშხი და ხმის ხავერდი,
მზის მომღერალი და მზეჭაბუკი,
მარტო შენს ჩრდილში გავიხარებდი.
შენ კი...
წახველ, რომ სხვა დაამშვენო.
მეც წავალ მაგრამ რაღა მეშველოს,
ოქროს ბეჭედში თვლად ჩასაჯენო,
და გულის ჯიბით სატარებელო!

მარიკა გარათაშვილი

ლექსები

მესაზღვრეს

მე მოვუხშირე შენსკენ სიარულს,
მინდა შეგავლო ხშირად თვალები,
შენზე ოცნებას და შენს სიყვარულს
ალბათ ვეღარსად დავემალები.

ხან დად გეწვევი, ხან ტკბილ მეგობრად,
ხან დედასავით ნაზად გეხვევი,
ხან უნაზესი ინთება გრძნობა
და სტრიქონები თრთიან ვერხვივით.

მე ვაჟკაცობა თუ მხიბლავს შენი
და აშრიალებს გრძნობას ფარდებად,
გმირის იერი — ეგრე რომ გშვენის
და თავდადება.

გიცნობდე მაინც, მიცნობდე მახნც,
ვიცოდე მაინც შენი სახელი,
რომ შემოვაღებ კარებს სტუმარი
და გულგამთბარი მომაქვს ძახილი.

მოგონება

ვახსოვს? ფიჭვნარი, ხავსის ქეჩა, სხივების თქეში,
ო! მე იმ განცდებს გამოვშორდი და ისევ ვნატრობ,
ცისფერ ქოლგის ქვეშ, მოჩურჩულე ბუმბერაზ ტყეში,
მთის დიდ კალთაზე, დიდ ფიჭვებში ვიყავით მარტო.

ჩვენ გვახარებდა ტანმაღალი ხეების რხევა,
ნაძვი — ფიქრებში გალურსული, დამძიმებული,
პეპელას ფრენა, მოჩურჩულე ბალახთა ხვევნა
და დილის ცვარი, ყვავილებზე დამძივებული.

გვახალისებდა ტყის ამბები, ნაირი ხმები,
ჩვენი ხალისი წყაროს ჩქრიალს ეცილებოდა,
ტყეს გავძახოდით, გვპასუხობდა ტყიანი მთები
და ჩვენს სიცილზე — გულიანად ეცინებოდათ.

თუ ორთქმავალი მძიმე ქშენით დუმილს გახევდა,
გაიქროლებდა ძირს, შარაზე, ხმაურით ავტო,
თითქოს ქვეყანა, სიშორიდან გამოგვძახებდა:
„მე ყველგანა ვარ, არ გეგონოთ დაგტოვოთ მარტო“...

გახსოვს? მითხარი: „სანამ ჩემთვის ცაზე მზე არი,
სანამ ამ თვალებს არ ჩამიქრობს სიკვდილის ჩერო,
დედა-სამშობლოს ხელს ვერ ახლებს მტრულად ვერავინ,
ვერც თქვენს სიყვარულს ვერ წამართმევს, ძვირფასო ჩემო“...

*

* *

შენზე ფიქრებში გაპარულა ღამე ცხრათვალა,
რომ დამცქეროდნენ — ის თვალები აღარ ანთია,
ზაფხულის ღამე, მოოქვრილი ღამე ჩამქრალა,
და ვცნობ განთიადს.

და კიდევ სწყდება მოგონების ერთი ფოთოლი,
ძვირფასი განცდის — შეუძლიათ ფიქრებს შენახვა,
მივლულე თვალი, მიალერსებს ნიავი თრთოლვით,
იქნებ შენა ხარ?
ვჩურჩულებ, „ჩემო“!.. რომ შეეძლოს გაგება ნიავს,
სინაზით ქოჩორს აგივარცხნის ჩემი თითებით,
ვჩურჩულებ, „ჩემო“... შორს, საზღვრისკენ ოცნებას მიაქვს
ჩემი ფიქრები.

ალბათ ფიზიზლობ და ვაჟკაცურად გინდა დაიცვა:
ეს განთიადი, საყვარელი შენი ოდები,
თუ ოცნებაში მეგობარის ფიქრი გაისმა...
და გაგონდები?

ბუხართან

ბუხართან ვზივართ. ტკრციალებს ცეცხლი,
უცნაურ ცეკვით გიზგიზებს ალი.
ნაზად ირხევა პირბადე ფერფლის
და პირბადიდან ათასი თვალი.

ზამთარი. მწვავე ყინვაა გარეთ,
ზარით ამტყდარა დეკემბრის ქარი,

თითქოს ბრმა ღამე აკვნესდა მწარედ,
დატყვევებული ღრუბლების ჯარით.

მაგრამ ეს ღამე ჩვენ რას დაგვაკლებს,
როცა ფიქრებში მზეა მაისის,
ბუხართან მოვთვლით ამბებს, არაკებს,
ჩვენმა ზამთარმა სევდა არ იცის.

ვზივართ. ეწყობა წამი-რგოლებად
და ეს რგოლები — უსრულო ჯაჭვად...
მოდის ფიქრები და მოგონება,
წარსულ დღეთაგან ძნელ ამბებს დაწნავს.

თვალებს ვახვედრებთ ერთმანეთს ნდობით,
მღელვარე გულში გრძნობები ჰქუხან...
„ჩემო ძვირფასო“... ვჩურჩულებთ გრძნობით
და ეს ჩურჩული ჩაესმის ბუხარს...

პასუხად უფრო ტკრციალებს ცეცხლი
და ნაპერწკლებად სიხარულს აფრქვევს...
არა, ჩვენ ზამთრის ხმა აღარ გვესმის,
ქარი ათასკეცს რომ შლიდეს აფრებს.

გადარჩენა

«ჩემი ხარ, ჩემი“... — კიოდა ტალღა,
ფიქრი დამძიმდა, წვებოდა ღამე...
იმედი თითქოს აღარსად სჩანდა...
და დავიღალე...

... მაგრამ ზვირთებთან შებმა გაბედა,
ზღვას შეუტია და მომეშველა,
ვაჟს — გამარჯვება ერგო ტალღებთან,
მე — გადარჩენა!

ბუტრიუს ჩხეიძე

სანაგვეს მეფეები

— აი, რა მაფიქრებს ხშირად, ბატონო ასისთავო: ერთის წუთით წარმოიდგინეთ შებრუნებით, წინააღმდეგ: ჩვენ უიარაღონი, ისინი იარაღით. წარმოიდგინეთ, რევოლუციამ, ამ ხალხმა გაიმარჯვა. ნეტავ რა მოხდება? რას გვიზამენ? როგორ მოგვექცევიან?

საღუნწეს ქექვით და შინაგანის ზარით თქვა დაბალმა, ჩასუქებულმა მაზრის უფროსმა. ასისთავმა სეტოვმა ქილიკავიან ღიმილისთვის ქვემო ჩარბი მოღრიცა და დამლახვრავი თვალებით მიაჩერდა კანცელარიის სასუქს.

— აბა მიპასუხეთ, ბატონო ასისთავო!

— რა უნდა გითხრათ, რა საჭიროა, მე მკითხოთ, როცა თვითონ უკეთ შეგიძლიათ გასცეთ პასუხი საკუთარ თავს. მაგრამ რა-კი ჩემი პირით გინდათ მოისმინოთ — ინებეთ: იმასავე გვიზამენ, რაც ჩვენ იმათ დავმართეთ. უნდა იცოდეთ, შურისმაძიებლის როლში ადამიანი ყოველ ძუძუმწოვარზე უფრო მძვინვარეა. ხალხის შურისძიება კი კიდევ უარესი. არ გაარჩევენ წონასა და ზომას, თქვენც არ მომიკვდეთ. ხალხის სისხლი გინდა ერთი წვეთი დაგიღვრია, გინდა ერთი მდინარე. განკითხვის დღეს ერთი ასად იანგარიშება. თუმცა უნაყოფოა ამჟამად ამაზე ფიქრი.

— მართლა... — დაიწყო რაღაც სიტყვა მაზრის უფროსმა და ვეღარ დამთავრა. დეპოს საყვირის გაბმული და ამაზრზენი ხმა მოისმა. სეტოვმა შარვლის სათავეს იტაცა ხელი. თალგამისოდენა ოქროს საათი ამოიძრო და დაეხედა. მერმე თქვა ბრაზიანად:

— არც მეტი, არც ნაკლები, ორი საათი დააგვიანეს — მუშაობის დაწყება.

— გადაწყვეტილად უნდა ვსთქვაბ, ვაფიცულებმა მოთხოვნილებებს ბოლომდე არ მისდიეს, მიღებულმა ზომებმა გასჭრა და მუშაობა განაახლეს.

— უსიტყვოდ ასეა და ერთი მდინარესაც შეხედეთ. რამდენი ხანია იგი ამ ფერის აღარ გინახავს?

მაზრის უფროსი მოაჯირს მიეყრდნო და გადახედა დაბლობს. აქნამდე წყაროსავით წმინდა მდინარე, მარგანეცის ნარეცხისაგან შეღებილი და შედედებული ნელად მოატბორებდა მუდამ თავქვე მიმავალ ტალღებს.

— ყოჩაღ სეტოვ, ათასჯერ ყოჩაღ! ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ზემოდ ჭიათურასაც დაუწყია მუშაობა და საქმე გაჩარხულა.

— ეგ, ბატონო მაზრის უფროსო, იმასაც ნიშნავს, რაც თქვენ თქვით, კიდევ სხვა რამესაც და საქმეს გაჩარხვამდე ბევრი უკლია. აბა თუ გამოიცანით საყვირის მიცემის ორი საათით დაგვიანების მიზეზი?

— აბა მითხარი, რაღა კუდი გამოაბით ახლა ამ ამბავს? — წყრომით მიუგო მაზრის უფროსმა.

— მე არაფერი კუდი არ გამომიბამს, იგი, ის კუდი, ნამდვილად არსებობს და მხოლოდ დანახვაა საჭირო და რომ მიხვდე, დაინახო, უნდა ბევრჯერ გენახოს იგი. ყური მიგდე: ზესტაფონის დეპომ საყვირი ორი საათით დააგვიანა. ეს დრო სწორედ იმდენია, რამდენ ხანსაც უნდება მდინარის წყალი ჭიათურიდან ზესტაფონამდე ჩამოსვლას. დაინახეს ზესტაფონელმა მუშებმა მადნით შეღებილი მდინარე და საყვირი აუშვეს. მაშასადამე ეს პაროლი, სიგნალი და პირობაა. მაშასადამე დროებით დამარცხდნენ. შემაკავშირებელი ხელმძღვანელები გადარჩნენ. მუშებს შორის არსებობს მტკიცე კავშირი და ამ კავშირში ისევ ჭიათურაა ხელმძღვანელი. განა შეიძლება მეტი კუდი ებას კიდევ ამ საქმეს? და განა იგი აშკარად არ იხედება?

მაზრის უფროსი ამ არგუმენტებმა შეაჩერა და დიდი გამბედაობა დასჭირდა კვლავ ეთქვა.

— ჰმ... სჩანს... არ ეყოთ!

— ყოფნაზე საკითხი არ ისმის. სულაც რომ ამოსწყვიტო, მაინც რჩება ისეთი ვიღაც, რომელიც ხორბლის მარცვალივით სთესს ურჩხულის კბილებს.

— აქედან უნდა დავასკვნათ ახალი ღონისძიებათა მიღების საჭიროება?

— რა სახის ღონისძიება უნდა მივიღოთ, თორემ კი?—იკითხა სეტოვმა და საუბრის მიმართულება შეატრიალა. — სად იყავით, ბაზარს რომ ცეცხლი ეკიდა?

— შინ რა გამაჩერებდა, სამმართველოს დატოვებაც არ შეიძლებოდა და აქ, ამ აივნიდან ვადევნებდი თვალს.

— კარგი სანახავი კი იყო, ხის სახლებმა შეჯიბრება გამართეს, რომელი უფრო მაღლა აუწევდა ალს. ოთხიოდ საათში ქალაქი ფერფლად იქცა.

— ქარიანიც ზედ დაერთო. — დაუმატა მაზრის უფროსმა და ისევ მოაჯირთან მოვიდა. ჭლინკებზე შედგა. გადახედა ნახშირადქცეულ ნაქალაქარს— ისე თითქოს სურს გაიგოს, ხომ არაფერი დაზოგა ქარმა და ცეცხლმაო.

— შემდეგ კი რაღა, უმუშევრად ვიყოთ?

მოულოდნელად იკითხა სეტოვმა.

— უმუშევრად რადა? საინტერესო ექსპედიცია გიძევთ წინ. ესეც მოათავეთ და შემდეგისათვის კიდევ ღმერთი მოწყალეა. მოულოდნელადვე მიუგო მაზრის უფროსმა და „მუნდირის“ გულჯიბიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო და გაუწოდა.

სეტოვმა ჩამოართვა. ფრთხილად გაშალა დეპეშის ბლანკი, სკამი გადაიწინაცვლა, მუხლი შემოიდგა. ერთის წამით გადაიკითხა. სახეზე გაკვირვებამ გადაჰკრა, ზეზე წამოხტა და მათრახის ტარი ჩექმის ყელს შემოჰკრა.

— გმადლობთ, ნახვამდის. ეს მართლა საქმეა. ბიჭები და ცხენები მუხლს გაისწორებენ, გაინავარდებენ, განა რაღაა საინტერესო გადამწვარ ქალაქში,

შიშმაც დაჰკარგა თავისი ძალა. კიდევ ნახვამდის. — სეტოვმა პირი კარისკენ იბრუნა.

— მშვიდობით, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი,—მოესმა ხმა კიბეებზე. ბრახუნით მიმავალ სეტოვს. „მშვიდობით, ნახვამდის“ კიდევ გაიმეორა სეტოვმაც და კიბე ჩაირბინა. ბოძზე გამობმული ცხენი აუშვა, ლაგამი შეუსწორა, აღვირი წამოჰყარა, მოახტა და მხლებელიანად გაჰქუსლა ქალაქის იმ მხარეს, საიდანაც ხეხილებში კიდევ მოსჩანდა კრამიტის ხშირი სახურავები.

სეტოვმა თავისი ასეულით ზემო-იმერეთის მდინარის ნაპირები ერთ თუ ორ თვეში გადინადირა. გადასწვა კორბოული, საჩხერე, ჭიათურა და ზესტაფონი. აქ კი დაბანაკდნენ შემდეგი მარშრუტის დამტკიცების მოლოდინში. სანამ ნათრევი ყაზახები დაისვენებდნენ, ახალ ჩოხა-ახალუხს შეიკერავდნენ, ცხენებს მოასუქებდნენ — მხიარულად იყვნენ. ცოტა ხანს ეტაპების გზავნამაც შეიყოლია. როცა ეს საქმეც შემოელიათ და განკარგულებაც დაგვიანდა, მოიწყინეს. მაზრის უფროსი მზრუნველობას არ აკლებდა ყაზაებს.

კასრებით უგზავნიდა ასეულის მეკუჭნავეს ღვინოსა და არაყს. არ იშურებდა სასმელ-საჭმელს და პატარა მანევრებს საზეიმოდ რთავდა. სხვა მიზეზიც იყო. მაზრის უფროსს შიშით აციებდა, როცა გაახსენდებოდა, რომ ზესტაფონიდან ყაზახების წასვლის უმალ კვლავ გამოცოცხლდებოდა რევოლუციური მუშაობა და იქნებ გამოსვლებიც მოეხდინათ გლეხებს და დეპოს მუშებს.

ქალაქის გადაწვის მეორე დღესვე სთხოვა თანხმობა სადაც ჯერ იყო, რომ ყაზახთა ასეული აქ დიდხანს დაეტოვებიათ და დამატებით სამ სოფელში ჩაეყენებია ეკზეკუცია. ეს სოფლები იყვნენ ზესტაფონიდან ათიოდე ვერსით მოშორებული მთიან და მიუვალ ადგილას. მაზრის უფროსს უტყუარი ცნობები ჰქონდა, რომ იქ იმალებოდნენ ჯერ კიდევ შეუპყრობელი რევოლუციონერები და იმერლებს, რომლებმაც პირველად არ იწამეს მეფის ტახტის შერყევის ამბავი, ახლა რევოლუციის დამარცხებისა აღარ სჯეროდათ. გულმოდგინედ, დიდის კონსპირაციით ინახავდნენ გადამალულთ. სწორედ იმ სოფლებში განმეორდა ის, რისიც ეშინოდა მაზრის უფროსს. საწაბლეში ღალაზე მოსული მიწისმფლობელები თავთხლე გადადენილი გაისტუმრეს გლეხებმა. აზნაურები ჩამონაჭრებში აღარ შეუშვეს. შესყიდვაზეც უარი განაცხადეს და სამჯერ აიძულეს მთავრობა მამასახლისის გადარჩევას დათანხმებულიყო.

II

— შენი ღვიძლი, დედა, ღმერთი, სული და ქრისტე!.. — იგინებოდა ყაზახი. — ცხენები კი არა ეშმაკები დახდნენ. აი ამისთანა ქვეყანას კი რა უთხრა, სადაც წყალსაც კი აგიმღვრევენ სათავეში.

— ქვეყანამ რა დაგიშავა, აი ოხერი! — უთხრა მას ახალგაზრდა ყაზახმა ვანიამ და შეუბღვირა.

— როგორ, შე ავყიავ, შენი ცხენი კი არ ვააშავა მდინარემ!

— მერე რა რომ ვააშავა?

— ის, რომ არა მკითხე ხარ და ჩაიარე, თორემ!

— თორემ რა, გინდა შემაშინო? ეგ ვერ მოგართვეს! — დაუყვირა ვანიამ და წინ მკერდმოღერებული აეყუდა.

— ვითომ რა გინდა, რას აპირებ?!

— იმას, რომ ვანია აგრე არ დაგეჩაგვრინება, შე სალახანავ!

— ვერ დაგჩაგრავ და სამაგიეროდ შენ დამჩაგრე! — ჩაიბურტყუნა ყაზახმა და დააპირა მუშტის მოღერება, რომ ვანია გულის პირში სწვდა, შეარხია, ხეზე მიასრისა და სახეში ჩაახალა.

— მართლა სალახანავ, დაჩაგვრადაც არ ღირხარ!

ვინ იცის რა სახეს მიიღებდა ჩხუბი, რომ ცხენის ტორების თქარათქურს არ შეეჩერებინა წაკიდებულები. ერთმანეთს ხელები უშვეს და თავიანთ ცხენებთან შეჩერდნენ. ეზოში ცხენის ჭენებით, თავისი მხლებლებით შემოვიდა ასისთავი სეტოვი.

ჩრდილებში წამოწოლილი ნამთვრალევი ყაზახები თვალების ფშვნეტით და ზლაზვნით წამოიშალნენ. მიგებება მხოლოდ ათისთავებმა გაბედეს. სეტოვი ცხენიდან ჩამოხტა. უსიტყვოდ, უსალმოდ გაეშურა აივნისკენ და თითით ანიშნა მიგებებულ ასისთავებს აივანზე ასულიყვნენ, ხოლო რიგითი ყაზახები ახლოს არ მოეშვათ. სეტოვი აივანზე ავიდა. ტახტზე ჩამოჯდა, ყალამა ბუზმენტიანი ქუდი მოიხადა, ყირამალა დააგდო, გაძრობილი ხელთათმანები შიგ ჩაჰყარა და პაპიროსს მოუკიდა. ათხსთავებმა მის გარშემო წრე შეჰკრეს.

— აი რა, ყაზახებო! — უთხრა მან შემოკრებილთ პატარა ხნის დუმილის შემდეგ. — საქმე გაჩნდა, წავალთ! — ტელეგრამა ხმამაღლა გადაუკითხა და პარკიდან რუქა ამოიღო. ტახტზე გაშალა, ათვალიერა, სამ ალაგას წითელი ფანქრით ჯვრები დასვა და ისევ ათისთავებს მიუბრუნდა. — ჰა, გავისეირნებთ, როგორ გუნებაზე ხართ ბიჭებო?

— გუნებაზე? — გადაიმეორა სიტყვა ათისთავმა მეტსახელად „მაზიარეგელმა" — მზად, თქვენო კეთილშობილებავ. მხოლოდ ესაა, რომ ვანია გვიერევს. „კაპტიორს" ახალუხი შემოაგლიჯა, ცხვირი დაულილავა.

— სჩანს მთვრალი იყო, მორიგდებიან!

— არა თქვენო... ვანია არ სვამს. ფხიზელმა სცემა, გულიც ამიტომ მოგვივიდა, თორემ მთვრალს ვინ ჩივა. მთვრალს ყველაფრის უფლება აქვს.

— ვანია ჯანდაბას იქით! სხვებისას რას იტყვი?

— სხვებისა რა უნდა ვთქვა. არა უშავთ რა. ის ურევს მხოლოდ. ამ დილითაც ჩაიდინა დანაშაული. ერთგულ ყაზახს გოგო გამოაცალა ლაჯეებიდან, გააგდებინა, ჭიტლაყი ჰკრა და თანაც უთხრა „თავსა გვჭრი ყაზახებსაო".

— ოხ ეს ვანია, — განერვიულდა სეტოვი. — გითხარით და გავათავე, გაუსწორდებით. ახლა ყური მიგდეთ. გიბრძანებთ, რიგითი ყაზახებთან კრინტი არ დაგცდესთ, გესმით! და ამ რუქას დახედეთ, სადაც წითელი ჯვრები დავსვი, ეს ის სოფლებია, რომლებშიც თითო კვირას ჩავდგებით, ცხენებს შევასუქებთ, დავისვენებთ, წითელ მამლებს ავაფრენთ.

— გვესმის! — მიუგეს ერთად ათისთავებმა.

— მაშ კრინტი! დაიშალენით და დილით ადრე სამგზავროდ მოემზადენით.

გასცა ბრძანება სეტოვმა და აივნიდან ეზოში ჩამოვიდა. ისევ ცხენს მოახტა და მხლებელით იმავე გზით გასწია, საიდანაც შემოვიდა ეზოში.

რიგითი ყაზახები უფროსის მოულოდნელად მოსვლამ შეაჩოჩქოლა და გამოაფხიზლა. ალღოთი მიხვდნენ სარბევად წასვლას. უსიტყვოდ ერთად შეგ-

როვდნენ საჩრდილობელ ნიგვზის ძირად და კიდევ უფრო მოიწყინეს. ყველამ თავები ჩაჰკიდა.

— ცხვირები რად ჩამოგიყრიათ, ბიჭებო, ჩქარა სარბევად წავალთ, მაღარიჩი თქვენზეა. — მოაძახა იმათ მაზიარებელმა და სახლის ყურეს მოეფარა, როგორც დაკრძალვის მოპატიჟე.

— ნეტავი შენა, მაგას არა გირჩევნია რა, ერთი ჩვენცა გვკითხე, შინისკენ გვეგონა წავიდოდით, გამოდის, რომ ასე არაა. — ჩაიბურტყუნა ერთმა წვერიანმა ყაზახმა და ზანტად შეისწორა თავზე ქუდი.

— შინისკენ? ჯერ ადრეა. მოიცათ, კეთილებო. აქ ყველაფერი არ გათავებულა. — მოისმა ისევ მაზიარებელის ხმა სახლის ყურიდან.

— ბოლო აღარ უჩანს. აღარ თავდება. ოჰი ჰო, მესმის. სხვა ხელმწიფე შენს ხელმწიფეს ეომება. ესე იგი, იმ სხვა ხელმწიფემ შენ სამშობლოდან უნდა გაგაძეოს და ან ხარკი დაგადოს. ეს გასაგებია, მესმის. იომებ, თავს არ დაინანებ. დასწვავ და მოჰკლავ, ცოდოდ არ ჩაგეთვლება. ყაზახი ამნაირ საქმეში ფულს იშოვი და სახელსაც მოიხვეჭ. აქ კი მშვიდობიან მოსახლეობას, ჩვენ სახელმწიფოს ხალხს რად ვეომებით? მერე ისიც ჩვენსავით ქრისტიანებს ჰა? — იკითხა ვანიამ და ამხანაგებს სახეში შეხედა. ყველას გაკვირვებული და შეშინებული თვალები ჰქონდათ, ქუდების სწორებით აქეთ-იქით იფანტებოდნენ — ჰა, მითხარით მართალს არ ვამბობ? რად გარბიხართ?

ახლოს რომ არავინ გაჩერდა, ვანიამ თავისივე სიტყვებით შეფიქრიანებულმა საჯინიბოსაკენ გასწია.

— ღმერთმანი, ეგ ბიჭი მართალს ამბობს, თუ თავი არ სტკივა და არ აბოდებს. — უთხრა სხვა ადგილას შეჯგუფულთ ერთმა ყაზახმა.

— თუ ტკენია და აბოდებს, ახია. ისიც არ გამიკვირდება მეტი მოუვიდეს. სად ყაზახი და სად ასეთების ფიქრი? — დაუმატა კიდევ ერთმა რიგითმა და ამაყად მიმოიხედა. ამ ჯგუფიდანაც გარბოდნენ ყაზახები წვერიანის გარდა.

— ვანიაკ, რად ძრახავ, აკი შენაც გიფიქრია, აი თვითონ გამოტყდი. — შენიშნა მას წვერიანმა. გამოტეხილი გაფითრდა. ერთის წუთით დაიბნა და მერმე ისევ ძალმოკრებით თქვა:

— ეხ, რამდენიც გინდა იფიქრე, თავში ვინ ჩაგიძვრება. ეცადე მხოლოდ დაფარო, მაგრამ ეს ოხერი აზრი ძნელი დასამალია.

— მერე რა, — გაამხნევა წვერიანმა. — სთქვი და ძლიერ კარგადაც მოიქეცი. აქ ყველანი რიგითი ყაზახები იყვნენ. ახლა კი ისა სჯობიან მეკუჭნავეს ჩავუაროთ, ქერი მივიღოთ. საითკენაც არ უნდა უქნან პირი ყაზახს, მის ცხენს მუხლი მაგარი უნდა ჰქონდეს.

III

ვანიამ ქერიანი ტომარი მხარზე მოიგდო და საჯინიბოსაკენ გასწია. ცხენმა შორიდანვე იცნო მისი ფეხის ხმა და სტვენა. ხვიხვინითა და ფლოქვების ბრახუნით გამოეხმაურა. შავი და მაღალი, ირემა ცხენი იყო ვასკა. ვანიას მამამ იგი დონურისა და არაბულის შეჯვარებით მიიღო და შვილს სამხედრო ბეგარის მოსახდელად გაატანა ჯარში, როგორც მზითევი. დაბადების პირველი დღიდანვე ვანია იყო ვასკას მცველი და პატრონი. გაწვრთნა, გამოქნა.

იმისი სიტყვა ადამიანივით ესმოდა და შეევიდა თუ არა ქერიანი ტომრით, ცხენი სახელოში წვდა, ბაგისკენ მიითრია.

— ციც, შე ქაჯო, ჩოხას ხელი უშვი, არ დამიხიო, თორემ ქერს გადავყრი და შენ არ გაუმეკ. — შეუტია ვანიამ და გავაზე ხელი დაჰკრა. ვასკამ გაუშვა პირი ჩოხას, ბაგის რიკულს ჩაავლო და ღრღნა დაუწყო. ვანიამ ბაგა ამოგავა. ქერი ჩაჰყარა, ვასკამ პირი დაჰყო და ააბრამუნა. საჯინიბოში ბნელოდა, ვანიამ ნავთის ფანარი აანთო. ჯერ დაიურვა, მერე ძუისა და ფაფარის ნაწნავები დაუშალა, ღლიავებში ღაზლის ჩული გამოუსვა და ავშარა მოუსინჯა. ყველაფერი რიგზე იყო. გარეთ ჯერ კიდევ არ ბნელოდა. ახლა უკვე შეეძლო დუქნებამდე ჩამოსვლა და ცოტაოდენი გასეირნება. უკანასკნელ ხუთ დღეს ვანია გამუდმებით დადიოდა იმ დუქნებთან. საათობით იცდიდა, იჯდა და ისევ ბრუნდებოდა. არ მოხდა, აღარ გამოჩნდა, ვისაც მოელოდა. ახლაც გასწია იქით გულმა, მაგრამ ფეხები არ დაემორჩილნენ. ისეთი გრძნობა უტრიალებდა, თითქოს კედელს უკან, ხეს თუ კარს ამოფარებული ჯაშუში უთვალთვალებდა. ეს აზრი მას სტუქსავდა და აზარებდა საჯინიბოდან გამოსვლას სადაც თავისი უსიტყვო მეგობარი ვასკა ჰყავდა. ბოლოს, თავი რომ ფიქრს ველარ გაართვა, ხელი ჩაიქნია და ჩაილაპარაკა: „თუ ვასკასთან სჯობს, დაე ასე იყოს, მით უარესი ყაზახებისთვისო". მაგრად დაჰკრა ხელი პალოს, ტანი აიმჩატა და ბაგის ფიცარზე შეჯდა. ქერის ხრამუნში გართულ ვასკას თავი ღლიაში გამოიხვია და ყურის ძირები მოფხანა. კმაყოფილმა პირუტყვმა ყურები ააცმაცუნა და პატრონს ულვაშებზე მოულამუნა.

— ჰა, ვასკა, შე ქაჯო და ეშმაკო, ვინ დახნა, ვინ მოსთესა, ვინ მომკო წელს ჩვენი ყანები? ვინა, ჰა? მიპასუხე, თორემ... — ვასკამ დაუხვიხვინა, თავი გაითავისუფლა, აბაკუნდა. — ჰა, შე ეშმაკო, ქაჯო გეკითხები და მაშასადამე მიპასუხე, რა გაწყენიე განა, რომ ხმას არა მცემ?

— სჩანს ემზადები, ვანია?! — მოისმა ამ დროს კარის საძირკვლიდან. ვანიამ თვალი მოჭუტა, გახედა, კარებში დოინჯებშემოყრილი, გვერდზე მოქცეული ჩატეხილი ქუდით მაზიარებელი იდგა, ვანიას გააჟრჟოლა. ამ ყაზახს ასეულში მაზიარებელი შეარქვეს და უკეთესი სახელი არ შეეფერებოდა. ეზიზღებოდათ, სძულდათ, ეშინოდათ მისი, თუმცა ყველანი ელაპარაკებოდნენ და ითვრებოდნენ მასთან ერთად.

— დიახ ვემზადები, აბა რას ვიზამ?! აკი ბრძანება იყო. — მოუჭრა სიტყვა ვანიამ და რომ აღარ გაეგონა იმისი ხმა, ფიჩხის ცოცხს ხელი მოავლო, ზღვეს დაუსვა.

— იცი რა, ვანია! — განაგრძო მაზიარებელმა. — ბარემ იცი რა უნდა ქმნა, მაგრამ შენ ვინ გკითხავს. მოემზადე... კეთილო... მოემზადე... მორჩა და გათავდა. დილით ადრე გავალთ, სეტოვი ასე ბრძანებს. შენ კი უნდა მოემზადო, მეტი არაფერი.

— თავიდან მომწყდი, შე ღვთისა და კაცის მტერო, — დაუღრიალა ვანიამ. — სამზადისს გარდა ნეტავ მეტს რას ვშვრები! — და კარებისკენ გაექანა. მაზიარებელი იქ აღარ იდგა. თავი კარიბჭეს მიაჯახა და შეჩერდა. ეზოშიც აღარავინ იყო. ისმოდა მხოლოდ შორსმიმავალი ფეხების ჩლატუნი. ვანიას ძარღვები შეუჩერდა და სისხლი გაუშრა. ეს შიში არ იყო, კაცს — რომ გულს გადმოუბრუნებს, დავთარს დაუბნევს, თვალებს ყვრიმალებში დაუკარგავს და ფერს წაართმევს. გონებას არ უღალატნია. ვანიამ სიტყვა „ემზადები" ასწონ-

13988

დასწონა, გაითვალისწინა ის, რასაც მოასწავებდა იგი მაზიარებელის პირით წარმოთქმული და გარკვეული აზრი მიიღო ვიღაცისაგან წინასწარ გადაწყვეტილი — „მიეგებე საუკუნე ცხოვრებასო“. ეს სისხლის შეჩერება კი პატარა წინასწარი განცდა იყო იმისა, რაც დღეს თუ ხვალ თავს უნდა გადახდენოდა, შემდეგ დამამტკიცებელი საბუთებიც დაულაგდა.

ერთი თარეშის შემდეგ ყველაფერი ყირამალა დადგა. მაზიარებელმა თვალყურის დევნება დაიწყო. მიდის ვანია საჯინიბოში — მაზიარებელიც იქაა. მიჰყავს ცხენები დასაბანად — მაზიარებელიც იქ ხვდება. აჩრდილივით დასდევს. ლანდივით, თითქოს მიწიდან აღსდგაო, წინ აეყუდება, სამიკიტნოში თუ საჯინიბოში, ყაზახებთან და მარტოს. ორჯერ ღამითაც შენიშნა: მაზიარებელი კატასავით შემოძვრა ბინაში, უნაგირებს შორის გამოიარა, ვანიას ჩანთები და პარკები დაჩხრიკა, ისევ გაიპარა. ვანია ადგა და ჩუმათვე გამოჭყვა. მაზიარებელი რეტიანივით დაბორიალობდა ეზოში. დაჯდა, ადგა, წამოწვა, მოუსვენრად იყო, შეიგინა და დაიგრიხა ულვაშები, მერმე სიბნელეში დაიკარგა. პატარა ხანს შემდეგ ისევ გამოჩნდა. ჩექმის ცხვირების ცეშით დაჩუტულ ბურთივით რაღაცას მოაგორებდა. დაიღუნა, შეიგინა. გულმოდგინედ დაუწყო ბღანკვა. ღრუბლებიდან გამოჭიატებულ მთვარის შუქზე გაარჩია ვანიამ: მაზიარებელს გომბეშოები დაეჭირნა ერთმანეთისთვის თოკებით გადაება მხარდამხარ და როგორც ნალო მრგვალ შეშის პალოზე მიეკრა. გომბეშოები იჭაჭებოდნენ, ძლივს ძრავდნენ ადგილიდან ტვირთს. მაზიარებელი წყნარად, შეწლილივით იცინოდა. — ქრისტემ შეგაჩვენოს, — მიაწყევლა ვანიამ ის და შინ შემობრუნდა. მიეგდო ლოგინზე, მაგრამ ძილი აღარ მიჭარებია.

ამ მოგონებამ ვანიას მოსაზრებებს კიდევ ზედმეტი დასტური დასცა, რომ მაზიარებელი უსისხლოდ ვერ დამშვიდდებოდა და მხოლოდ ვანია იყო გველის გასავსავებულ ენის მიერ ნიშანში ამოღებული და გათვალული მსხვერპლი. წამოეჭიდა ის აზრიც, რომ ყველაფერი ეს მოჩვენებაა, სიძულვილისა და ათვალწუნების შედეგია. ეს აზრი მოეწონა. ინატრა, მართლა ასე ყოფილიყო. ამაოდ. ეს სასურველი აზრი მის გულსა და გონებაში ფეხს ვერ იკიდებდა, როგორც სრიალა ყინულზე და გახსენების, მოსვლის უმალვე იკარგებოდა, ქრებოდა. შეეცადა დაება ისინი. უნაგრის ქვემოდან გამოიღო დამალული „ფლიაშკა“ და არაყი მოსვა. მოსვა და გააფურთხა. არაყი ეზარებოდა, სძულდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა დაძაბულად ფიქრობდა, ხოლო ახლოს სტანიცის მეგობრები, გოგონები და ბაზრობა როდი იყო.

IV

დილით ადრე დაჰკაზმეს ცხენები. შავ ჩოხაახალუხებში გამოეწყვნენ. იარაღი აისხეს, არაყი გადაჰკრეს და დეპოს პირველ საყვირზე დაიძრნენ. ქალაქის ნაპირამდე, სანამ აქა-იქ მორჩენილ გადაუწვავ იმერულ ოდის ფანჯრებში ოცნებით წარმოდგენილი, უიმედოთ შეყვარებული „გრუშინკა“ გოგოს მალული თვალები ეგულებოდა, სეტოვი თეთრი დონურით ასეულს წინ მიუძღოდა. როცა ოდები გათავდა და ბუჩქნარები დაიწყო, ცხენი საჩქაროდ მოიბრუნა. თავის ადგილს ათისთავი მაზიარებელი დატოვა ჟღალა ‘იაბოთი, თვითონ ასეულის ბოლოში გამოვიდა და მზვერავებ შორის ჩადგა, სადაც ვანიაც

იყო მწყობრში. ვანია დონურ-არაბულის ნარევით მზვერავთა მწყობრს უკან მოსდევდა და ასისთავის მოსვლა ფიქრებში გართულს არ შეუნიშნავს.

შორაპნის ციხესთან შეუდგნენ შელმართს. ყაზახებმა თვალი შეავლეს ნანგრევებს, რომელიც ძნელი ექსპედიციის დასაწყისს თავს ნიშნის მომგებივით დაჰყურებდა. ყიჟინით, სიცილითა და ხარხარით მირეკდნენ ცხენებს. შემთხვევამ მხიარულება გააღვივა. ასეულს მოულოდნელად მოხუცი კაცი და ბავშვიანი ქალი შემოეყარა წინ. ჯარის დანახვაზე ჯერ ადგილზევე გაშეშდნენ, შემდეგ კი ეკლიან ბარდებში გადაცვივდნენ კურდღლებივით. დამალვა ვერ მოასწრეს.

ციხის ქმის გასწვრივ ყაზახებმა ერთბაშად, უეცრად მოიწყინეს. შელმართისა და გორაკების გზაზე დონურებს ხვითქი წასკდათ და გასაპნულებივით თეთრი ქაფით შეეღებათ ბალანი. ყაზახებმა პირი შეიკრეს, ქუდები ჩამოიფხატეს, თითქოს საკუთარ უბედურებას თვალით არ სურთ შეეფეთონო.

სიჩუმე და მოწყენილობა ყოველ ნაბიჯზე თვალბედითდებოდა. სეტოვი მიხვდა მიზეზს. საიმედო სიტყვა ვერ მოახერხა, ვერ გაბედა და ადგილი ბოლოდან შუაგულისკენ გადაინაცვლა.

ძნელი და მოსაწყენი იყო ზესტაფონში უსაქმოდ ცდა. უფრო ძნელი გამოდგა იმერეთის ულევებისა და გორაკებისადმი საფრთხილო ნდობა.

გზა აბურდულ თოკივით დაკლაკნილა, ხელის მისაწვდენ მანძილზე, გორაკებსა და ფოთოლად ვადაქცეულ ბუჩქნარში თვალი კამეჩს ვერ შეამჩნევს. ერთი კაცი პატარა საფარიდან ასეულს გაუმკლავდება, ერთს ტყვიას არ ააცდენს მიზანს. ამაზე დაფიქრდნენ ყაზახები და ამასვე მიუხვდა იმათ სეტოვი. მთელ ასეულში მხოლოდ ვანია მოდიოდა გულმშვიდად. თითქოს სხვისი ბედი მას არ ეხებოდა. ხანდახან უკან ჩამორჩენილი ასეულს ნალების ჭახანით ზედმოუგდებდა ვასკას. ყაზახები ფრთხებოდნენ და ავის თვალით გადახედავდნენ.

— თფუ! — ილრინება მაზიარებელი.—მიწამ გიყოს პირი, ვანია. რა დროს ხუმრობაა, აქ ხომ ნამდვილი, შავი სიკვდილი იმალება ყოველ მოფარებულს იქით!

მაზიარებელი უკან-უკან იხევს, შუა გულში შემოდის, ცხენის დავარდნას მიზეზობს, სხვას აგდებს მწყობრიდან, ყაზახის ზურგს ეფარება. ვიღაც ილანძღება, იგინება დედასა და ღვიძლს და წვერიან ყაზახს უზანგიან ფეხისკვრით ეუბნება:

— ხედავ, კუზმა, რა ტკბილია თურმე სიცოცხლე, ნახე რას ჩადის მაზიარებელი? — და მაზიარებელს მიმართავს, — ეი, შენ მაზიარებელო, ტყუილად ხტი, სიკვდილს ვერსად დაემალები, ნათლიმამობა არ იცის კაცის ამ საშინელმა ნათესავმა. ვირჩევნია, შენი ადგილი მოძებნო და იქ დაეტიო. დადექი და მოუცადე ბედს. ის ბედი სხვის საფლავის ორმოს შენ მაინც არ ამოგავსებინებს.

მაზიარებელს ესმის მამხილებელის ხმა, უმარილოდ ილმიჭება. იგინება დედას და კოლონის თავში თავის ადგილს იკავებს.

მზვერავებს სასიამოვნო ამბავი მოაქვთ. ჩქარა ვაკეები, „სტეპები" იწყებაო, ირგვლივ ყველაფერი მოსჩანსო. საშიშს ვერაფერს წავაწყდითო. გულგამაგრებული მაზიარებელი ცხენს აწინაურებს. ყაზახები კი შეეჩვიენ ამ შიშს. მოხვეულში გზაბილიკზე თმაწვერაბურძგნილი გლეხი გამოძვრა. ტანს კონკები ჰფარავს, ფეხს დაბლანდული და სიცხისგან გამხმარი ქალამნები აცვია;

ზურგს ჰკიდია თხის წითელი გუდა. მაზიარებელი აჩერებს. ჩხრეკს. ანიარაღებს. წელზე იკიდებს ტროფეის, ჩხირებისსათლელ დანას. ზურგიდან გუდას ხსნის, აბგაში იყრის ცხენის საგზლად სიმინდს. გუდას ჩექმის ცხვირს ცემს და შორს ისვრის, მერმე მოხუცს იმავ ბილიკის პირად აყენებს საიდანაც ამოვიდა და ჩექმის ცხვირს ცემს უკანალზე და უშვერად იგინება — თფუ იქ რბილი არაა, ცერი მომტეხაო.

სეტოვი ისევ აბრუნებს გლეხს, წინ იძღოლებს შელმართის ათავებამდე.

მთავრდება შელმართი. იწყება ულევი. იშლება გორაკთა ქიმების ვაკეთა მწვანე ხალიჩა. უბერავს ნიავი. მოსჩანს იმერეთის დაბლობი.

სეტოვი ბრძანებს ასეულმა დაისვენოს. ყაზახები გადმოხტნენ, ცხენებს ლაგმები გადმოჰყარეს და ბალახზე გაუშვეს, სეტოვი შეკეცილ მათრახს უქნევს ვანიას. ის ცხენს მოუძღვის და უფროსის წინ ჩერდება.

— გესმის ვანია? — ეუბნება ის — აბა, ახლა გამოჩნდება, თუ როგორი ყაზახიც ხარ. შენი ვამოცდილება და მახვილი თვალი გვჭირდება. წაიღე რუქა, დაიწინაურე, მისასვლელი გზები მოიკვლიე და სოფელში მოულოდნელად შეეიჭრეთ.

— მესმის, ბატონო ასისთაო! — ყოჩაღად მიუგებს ვანია. ხელს საფეთქელთან იდებს, ვასკას აბრუნებს, ფეხს უზანგში უყრის, ამაყად უბღვერს მაზიარებელს და უსტვენს. ვასკა გრნძობს ვაკეს, მის სტიქიას და ფრინველივით მიარღვევს ცალიერ ველს.

ყაზახები ნაბდებს იგებენ, ზედ ეყრებიან და ხარბად ისუნთქავენ რბილ ჰაერს.

V

უკანმოუხედავად მიაქროლებდა ვანია ცხენს. გახარებულმა, რომ მარტოყოფნის საშუალება მიეცა, თვალი მოაცილა ველებს და ლურჯ ცას, რასაც აღტაცებაში მოჰყავდა ის ულევზე ამოსვლისას.

ყველა ეჭვი მხოლოდ ეჭვია, — ფიქრობდა ის. — შევცდი, საიდან მომივიდა აზრად მაზიარებელი თვალყურს მადევნებს-მეთქი. არც სეტოვი სწყრება. აი დასაზვერად გამგზავნა. ეს იმას ნიშნავს — მნდობს, სჩანს, ასეულში ჩემი შემცვლელი არ გამოჩნდა, არ მოიძებნა მეგზური და აგრე ადვილად როდი მელევა.

ამ ფიქრებმა ის შორს წაიყვანა და ულევზე განმარტოებული ყაზახის თავში წამოიჭიმა იმედის კოშკები.

ვანია ყველაზე მცირეწლოვანი იყო ნაწილში. იცოდა წერა-კითხვა, რუქის მოხმარა საჭიროების დროს, ჰქონდა პატარა მაჯის კომპასი და არ აკლდა გამბედაობაც. სამხედრო ბეგარის მოხდა ჩრდილო-კავკასიაში დაიწყო. ექვსი თვე დაჰყო დაღესტანში, ერთი წელი ყაბარდო-ბალყარეთში და კლდესა და ტყეებში ისე გაეჩვია, რომ თვალის გადავლების უმალ აგნებდა აულების მისადგომ გზებსა და ბილიკებს. სეტოვმა ჩქარა შენიშნა ვანიას ეს თვისებები, კარგად იცოდა იმათი ფასი იმერეთის კლდე-ღრეებში, სადაც ადგილობრივი ნდობა ძნელი იყო და ნაწილიდან არ იშორებდა.

ბევრ ხიფათს ააცილა ვანიას მახვილმა თვალმა და გონებამ ყაზახთა ასეული სვერის, საძალიხევის, წილთოს და ბახიოთების გადავლისას. თვითონ სე-

ტოვიც გამოგლიჯა პირში სიკვდილს. „უვანიოდ ჩვენ დავიღუპებოდით“,—ამბობდა ასისთავი ყაზახების გასაგონად. და ახლა, როცა მან კვლავ გააგზავნა ვანია დასაზვერად ულევზე, ყაზახები დამშვიდდნენ.

ულევის ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სიგრძითაა იგი მხოლოდ ულევი. სიგანით კი ერთ დღიურ მიწისოდენიც არაა და უეცრივ იცვლება ქორის ჩასაფრენადაც საშიშ ხრამებით. ხრიოკები, ღრმაღელეები, ტყითა და ბუჩქნარით დაფარული უფსკრულები გიღობავს გზას ზედ ხელის გულივით ვაკესთან. ხოლო შორს, სადღაც სიღრმეებში, მყუდრო და დაცულ ტაფობებში მოჩანან სოფლები.

ვანიამ უცებ გადაიქროლა ულევი სიგანით და ერთი ღრმაღელის პირად აღმოჩნდა. ასეული აღარ მოჩანდა, არც ხმაურობა ისმოდა იმათი, ღელეებში ჩასავლელი ვერ იპოვა, მინდვრებზე კი ნაგზურის ნიშანიც არ იყო. არ ისმოდა ჩამიჩუმი, ადამიანი არ შეხვდა და ჩიტიც ვერსად წამოაფრთხო.

გაკვირდა ყაზახი. შეუძლებლად მოეჩვენა: ზესტაფონიდან ასეულის დაძვრა ყველას უმალვე გაეგოთ, როცა ვანიამ თვითონაც არ იცოდა საით და რაზე მიდიოდა ასეული, სანამ სეტოვმა რუქა არ მისცა ხელში, ზედ აღნიშნულ ჯვრებით და სოფლების: საწაბლის, გეზრულასი და ბაქულას სახელები არ უთხრა.

ამ გაკვირვებას ისევ აზრების ჭიდილი მოჰყვა. ვანია არ ყოყმანობდა. ერთხელ მიღებულ გადაწყვეტილებას არ ღალატობდა. ამაზე არც ფიქრობდა, არც წუხდა. მაგრამ უფრო ძნელი საკითხი აღმოჩნდა გადასაწყვეტი. და აი რა: როგორ უნდა მოქცეულიყო ის, გადაწყვეტილებისთვის არ ეღალატნა, სიცოცხლეც შეენარჩუნებია და სირცხვილისთვის აერიდებია თავი.

მიღებული გადაწყვეტილება მის მდგომარეობაში მართლა სახიფათო იყო. თვალწინ უდგა მეფის პორტრეტი, რომელიც თავისი ტახტის ყველაზე ერთგულებად ყაზახებს სთვლიდა. ერთ თარეშის დროს ვანიამ საკუთარ თავს გაუმართა კითხვა-პასუხი და დასკვნები გამოიყვანა, რამაც ის შეაფიქრიანა და ვერ შეაშინა. მტკიცედ მისცა თავს სიტყვა, მახვილი თვალი და გონება ამიერიდან მხოლოდ იმისთვის გამოიყენოს, რომ ასეულს გზაკვალი აუბნიოს, სოფლების შესასვლელ გზებს აარიდოს. პირველ ნაბიჯს მეორე მოჰყვა, რაც ლოგიკურად ეჩვენებოდა. მრავალ საშუალებას მიმართავდა და ხშირად მოხერხებულადაც აგებინებდა სოფლებს „ყაზახთა ასეული ასაკლებად მოდისო“.

მხოლოდ ამ მიზნით უნდოდა ენახა ვინმე ულევზე იმ სოფლებში ხმის მისაწვდენად, რომელთაც რუქაზე წითელი ჯვრები ესვათ. და სწორედ ეს რუქა უჩვენებდა მახლობლად იმ სოფლებს. ეს დაამოწმა სიმინდისა და ფეტვის ყანებმაც. ვანია ერთი ტაფობიდან მეორეში გადადიოდა. სტვენდა, ჭყიოდა მაინც ვერაფერს მოჰკრა თვალი და არავინ გამოეხმაურა.

ბოლოს თავქვე დაჰყვა. ბუჩქნარებში ჩოხის კალთებს წიწკნიდა ეკლები, ცხენს ფლოქვები ეჭედებოდა ძირკვებში. ახლოს ტყე მოჩანდა. ცხენი ბალახზე გაუშვა. თვითონ ტყისკენ გაემართა ხეზე შესასვლელად და მიდამოს დასათვალიერებლად, რომ ხმაური შემოესმა. შეჩერდა, ყური მიუგდო, ადამიანის ხმას ჰგავდა. ისევ ცხენს მიუბრუნდა, აისადავა და ხმის მიმართულებით გასწია. ხმამ ტყეში შეიყვანა, ძლივს გავიდა მეორე მხარეს და შენიშნა სიმინდის ყანა და წითელი ნაჭრები. ცხენი ისევ მოაფარა. ბუჩქში ჩაიმალა და გახედა. ქუჩუჩო ნაყარ სიმინდში ქალები დადიოდნენ, წითელი ნაჭრები იმათი თავ-

საფრები იყო. კუზვითა და ფარებით მიეახლოვდა. ჩქარა ექვსი შიშველი ფეხი დათვალა. ქალები ხელებით თხრიდნენ გვიმრას. დროდადრო ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ ვანიასათვის გაუგებარ ენაზე. სულ ახლოს სახეებიც გაარჩია. ერთი მოხუცი და ორი ახალგაზრდა გოგო იყო. ვანია სიმინდში ჩაწვა. ქალებმა გვიმრით გამოიტენეს ღლიავები და ლაჯები. მერე ძირს დააგროვეს. საბოლოოდ ყველა გროვას დაუარეს და ყანის პირად გამოიტანეს. უდარდელი სიცილ-კისკისით ზედ წამოგორდნენ. გოგოებმა დაშაშრული ხელები შიწითა და თიხით დაიზილეს. მოხუცმა ტკივილის გამაყუჩებელი ბალახი ხელისგულზე მოსრისა და პირჯვრის გამოსახვის შემდეგ გოგოებს ხელისგულებზე დაადო.

ჭაღარამ, ვანიას სტანიცაში დატოვებული დედა გაახსენა. სწორედ ასე, არც მეტი არც ნაკლები, იცოდა დედამისმა ბალახებით მკურნალობა და სარეველების ხელით თხრა ყანებში.

წამოიწია და პირდაპირ გასწია იქით წყლის სათხოვრად და უეცრად შეჩერდა. მუხლები მოეკეცა. არ იცოდა ქართული და იყო ყაზახი. წარმოუდგა როგორ თავზარს სცემდა ყოველივე ეს „ტუზემცებს“ და სიცივემ დაუარა ძვლებში. „რად დამსაჯე, ღმერთო, ასე?“ ჩაიბურტყუნა და მოწყვეტით დაეცა რბილ დაფორებულ ბალახის სურნელოვან მიწაზე.

გამორკვევის უმალვე შეუდგა ყველა ქართული სიტყვის მოგონებას, რომელნიც თარეშში გაეგონა და დახსომებოდა. ისინი ათს-თხუთმეტს ძლივს აღემატებოდნენ და ისიც არ იცოდა, როგორ უნდა დაელაგებინა, რომ იმათვან ცოტაოდნად გასაგები აზრი მაინც მიეღო. ამ მიზეზმა აფიქრებია უკან გაბრუნება. სცადა. ვერ მოახერხა. ქალები ერთი ნაბიჯის მოშორებით იდგნენ. მარტო ადგილიდან დაძვრა კმარიოდა, რომ ყაზახი დაენახათ. ბევრი აღარ იფიქრა. როგორც მიწის პირიდან და უფსკრულისაგან ნაშობი საშინელება დაიძრა და წელში გასწორდა, ჩაახველა და სიმინდს თავს დაადგა გოლიათის მხარბეჭით.

ქალებმა დაინახეს, დაიწივლეს და დახოცილებივით დაეყარნენ გვიმრის ბულულებზე.

— ნუ გეში, ნუ გეში!..

ამბოდ აიმედებდა ვანია გონებადაკარგულ ქალებს, რომელთაც აღარა ესმოდათ-რა ამ ქვეყნისა და დაშაშრული ხელებით მიწას პოტნიდნენ.

— ნუ გეში, ნუ გეში!

განუმეორა კიდევ თვითონვე ძალზე შეშფოთებულმა ვანიამ და სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, ქუდი მოიხადა.

— დედაშვილობის გაბჩენს გაფიცებ, ნუ მოგვკლავ!—წამოიყვირა მოხუცმა, ფართხუნით წამოიწია, წამოუჩოქა და ხელი აღუპყრო როგორც ძლიერ ხატს.

— ნუ გეში, არა მოკალი, არა მოკალი, ნუ გეში... მატუშკა... — ღიმილით გაუმეორა ვანიამ მოხუცს. ხელები მხრებში დაავლო, ცივად აიღო მიწიდან და პირქვედამხობილ გოგოებთან დადვა. მერე ჩოხა შემოიკარწახა, ქუდი ფეხებთან დაუგდო და გვერდით ჩამოჯდა. მოხუცი ხანდახან ახელდა თვალებს, თითქოს უნდა დარწმუნდეს მოჩვენებაა თუ სხვა რამეო.

ვანიამ რუქა ამოიღო, მუხლებზე გადაიშალა. ჯვარდასმულ სახელებს თითი დაადო და გაშეშდა.

გოგოებმა მოიკრიბეს ნელ-ნელა გონება. თვალები გაახილეს, შიშველი ფეხები გვიმრაში შეიმალეს და დასხდნენ. ვანიამ უნებურად შეავლო ახლა თვალი მათ. დამფრთხალ შეშინებულ თვალებში ოდნავი სხვა რაღაც შეამჩნია. ეს სხვა რაღაც ვანიამ იმედად მონათლა და კმაყოფილად გადაისვა ხელი ულვაშებზე. ადგილი გადაინაცვლა და როგორც დიდი ხნის ნაცნობთა შორის შუაში ჩაჯდა. რუქა ზედ ცხვირებთან მიუწია და წითელ ჯვრებს თითები დააყოლა. ქალები თილისმასავით აყოლებდნენ თვალს ვანიას თითს ამ რაღაც შავბეწვებიან ქაღალდზე და არაფერი გაეგებოდათ. ვანია მიხვდა და ისევ ქართული მოიმარჯვა.

— ტკვი, კალები, სოპელი ბაჩულა, ჰა?

ქალები სდუმდნენ.

— ბაჩულა, ჰა?

— არა, არა, ნიატუ! — წამოიყვირა ერთმა — და ერთი რუსული სიტყვაც გამოურია.

ვანია ამ სიტყვამ ცას დასწია. წამოძახილი კეთილ ნიშნად მიიჩნია, შემდეგ ჯვარს თითი დაადო და კითხვა განაგრძო.

— საცაბლე, ჰა?

თავის სოფლის გაგონებაზე მოხუცს სახე გაუბრწყინდა, ციებიანივით აკანკალდა და თითქოს ამ სოფლიდან მთელი ჯარი მოვიდა დასახმარებლადო, აჩიფჩიფდა: — დედაშვილობას, საწაბლე აქაა, იმ გორაკს აფარია, ოღონდაც შენ ღმერთს შეხედე, ნუ მოგვკლავ და შინ სული გაგვატანე.

— არა, мокали, не бойся, матушка, и вы девки успокойтесь, ейбогу, трогать не буду. — სხაპასხუპით მიაყარა ყაზახურ კილოზე. ახსენა ღმერთი, ქრისტე, ღვთისმშობელი და პირჯვარიც სამჯერ გამოისახა. და ისევ განაგრძო რუსულად: — წადით, ჩქარა შეატყობინეთ საწაბლეში. ყაზახები მოვდივართ სოფელში ჩასადგომად, ბავშვები და ქალები დაარიდონ, სახლები დასცალონ, პირუტყვი და სარჩო გადამალონო.

ისევ დაყრუვდნენ და დამუნჯდნენ ქალები. ეტყობოდათ, „ნიატუს“ მეტი ერთი სიტყვაც არ იცოდნენ რუსულად. ვანია ისევ საგონებელში ჩავარდა და რაკი ლაპარაკით ვერას გახდა, ხელების, თვალების, ტანისა და ფეხის მოძრაობით, სცადა გაეგებინებია რამე. არც ამან გასჭრა, ქალები მაინც ვერაფერს მიხვდნენ. მწარედ დაღონდა ვანია. ერთადერთი გზა დარჩა, ისიც სახიფათო და საბედისწერო. უყოყმანოდ ჩაიკრა ჯიბეში ხელი. ქაღალდის ნაგლეჯი ამოიღო. მუხლზე დაიდო და ის, რასაც ამბობდა, ზეპირად, დასწერა. მერე ერთ გოგოს, რომელიც შედარებით უფრო გამბედავად ეჩვენებოდა, ხელში ხელი წაავლო, დასისხლიანებული თითები გაუშალა, რვადაკეცილი ქაღალდი შიგ ჩაუდო, თითები ისევ მოუხუჭა, ზეზე წამოაყენა და სოფლისაკენ ხელი გაუშვირა.

— სკორეი ცადი, ცადი, учитель, учитель, учитель. ცადი, ცადი!

— შეგერგოს შენი ნაწოვარი ძუძუ შვილო, გიშველოს შენმა სალოცავმა. — დალოცა მოხუცმა. გოგოებს ხელები ჩააკლო, გასწია და თავდაღმართში უკანმოუხედავად დაეშვნენ...

ვანიას დასაზვერად წასვლის შემდეგ, მოლოდინში, ყაზახთა ასეულმა დაისვენა. ცხენებს ლაგმები გამოჰყარეს, აღვირები გამოუბეს ქაჩაჩებზე და ნაბდებზე დაეყარნენ. გრილი მთის ნიავი უბერავდა ულევზე და დასვენების

სიამოვნებასთან ერთად შორს მიჰქონდა ოჯახებს მოცილებულთა არასასახელო საქმეზე მოხეტიალე ფიქრები. შორს, ცის სივრცეში იკარგებოდა იმათი თვალის ჩინი ჩრდილოეთისაკენ, საითაც სამშობლო ეგულებოდათ და მძიმედ ხვნეშოდნენ. ცოტაოდენი მხიარულება მოჰყვა საუზმეს და მთის მადას. გადალაპარაკებაც გაცხოველთა და გამოირკვა ყველას ნატვრა: მზვერავი თუნდაც ხვალამდე არ დაბრუნებულიყო.

სეტოვს რცხილის ქვეშ გაეშალა ნაბადი. თავქვეშ უნაგირი ედო. და ფხიზლად ისვენებდა. როგორც ყოვულთვის, წამოწოლილ მოსვენებულ ყაზახებ შორის მთვარეულივით დაბორიალობდა მაზიარებელი. აქა-იქ თვალწაპარებულს ნაბადში ან სასთუმალზე ფეხს უხეშად გაჰკრავდა და აღვიძებდა. ამას ისე მოურიდებლად და უზრდელად ჩადიოდა, რომ მთვლემარე სეტოვის ყურადღება მიიქცია.

— ეი! შენ! სადა ხარ?

მაზიარებელმა ცივად მოიხედა. იცნო სეტოვის მბრძანებლური და ბოხი კილო.

— აქა ვარ, თქვენო...

— გაუშვი, რას ერჩი, რად აწუხებ?

— არა ბატონო, არ ვაწუხებ, რა შეწუხებაა?

— კარგი... თავი ანებე და ზღაპარს ნუ მეუბნები. კარგად გიცნობ. საშაროს ეძებ და ისაა. კარგა ხანია, კაცი არ დაგიშავებია... ციც... გეში გაწუხებს, მაზიარებელო!

— ღმერთმანი ბატონო, მე მაგისთანა სულაც არ ვარ! კაცი მე რას მიშავებს, თუ კი...

— თუ კი... რა? მაშ ვანიას უბრალოდ არ უხირდები?

— არა, ღმერთმანი, ტყუილად რად აუხირდები. აი თუნდაც დღეის შედეგს წინასწარ გეტყვი! — და შეშინებულმა, უფროსმა ლაპარაკი არ შემაწყვეტინოს, მოჩქარებით განაგრძო, — წინასწარ გეტყვი, ბატონო, ვანია ცნობას არ მოიტანს, დღეს ჩვენ სოფელში ვერ შევალთ, ღმეთრმანი ვერ შევალთ და მერმე ვანიასგან წარმოსადგენია ცალიერი დაბრუნება, ცნობების შეუკრებლობა?

— რომ გამტყუნდე?

— მაშინ თქვენი ხმალი და ჩემი კისერი, ოთხში ამომიღეთ, მისი გადასახადი მე გადამახდევინეთ.

— დაე ეგრე იყოს, მაგასაც გავიგებთ, ყაზახებს თავი ანებე და მოსვენება მიეცი, ყარაულები დააყენე მხოლოდ და სხვებს ძილს ნუ უფრთხობ. ნაბიჯით იარ!

მაზიარებელი კუდამოძუებული გაბრუნდა. ორი ყაზახი კიდევ წამოაგდო ზეზე, ყარაულში გაიყვანა, მერე რაკი-ღა მოსვენებულთა შორის ბორიალი აუკრძალეს წვერიანის გასახარად, მახლობელ იელის ბუჩქებში გადავიდა. ქუდი მოიძრო, ხურგს ჩამოაცვა, ჩაჯდა მოფარებულში და შორს გასაგონად ამთქნარებდა.

სეტოვმა ერთი კიდევ გაიხედა უკმაყოფილოდ იმისაკენ. კიდევ უნდოდა ეაეყვირა, რომ ეს უცნაური და ნერვების ამშლელი მთქნარება არ გაემეორებია, მაგრამ შეჩერდა. არც ასე შეიძლებოდა ამ მეტად საზიზღარი და კიდევ

უფრო მეტად საჭირო ყაზახის რიგითი ყაზახებთან აგდება. ხელი ჩაიქნია, თავი უნაგირზე მიდო და მიიძინა.

ყაზახების ნატვრა ახდა. ძილი მოისრულეს, ცხენები დაძღნენ ულევის წვნიან მრავალძარღვათი და ქუჩით. ვანია დალამების პირად გამოჩნდა.

— რა ჰქენი! — შორიდანვე მიაძახა სეტოვმა. ვანიამ ცხენი ასლოს მოაგდო, გადმოხტა და მოახსენა.

— სულ დავიარე, თქვენო.... მიდამოები, ასეთი საკვირველი რამ დალისტანშიც არ მინახავს. ხევები და ხრამები ისეა ერთმანეთზე, რომ იქ ჩიტი თუ ჩაფრინდება მხოლოდ. მინდორი მთავრდება, ბუჩქნარი იწყება, ის თავდება, მერე ტყეები მოსდევს, ტყეებს კიდევ უფსკრულები აკრავს. გზა არ ჩანს, ვერ ვიპოვე, სოფელი ვერ მოვიმხრე, სულიერს ფრინველსაც ვერ გადავეყარე, ერთი სიტყვით ვერაფერს გავხდი.

— ბატონო ასისთაო, აი შეხედეთ, ცხენი დასვენებულია და გამაძღარი. — ჩაილაპარაკა ამ დროს გვერდით მაზიარებელმა.

— ჩუმად, როცა არაფერს გკითხავენ! — შეუტია იმას სეტოვმა და ისევ ვანიას მიუბრუნდა.

— არ სტყუი?

— არა, თქვენო...

— როგორ არ სტყუი, რუქის მიხედვით სამივე სოფელი, აქ, ახლომახლოში უნდა მდებარეობდეს, ხუთიოდ ვერსის კვადრატში. თუნდაც ათი კვადრატის ფარგალში. თუმცა ეშმაკმა უწყის, რომელი გეოგრაფი იკისრებდა აქ ამ ოხერ ქვეყანაში მანძილების გაზომვას და სწორ მასშტაბის აღებას?

— ბატონო! — დაიწყო სიტყვა მაზიარებელმა.

— ბატონო, მე კიდევ ვეცდები. ღამით ხანდახან სინათლე შორიდან ჩანს და იქნებ მივაგნო! — დაასწრო ვანიამ.

— აბა ეცადე, უშედეგოდ ნუ დაბრუნდები, ამაღამვე უნდა შევიდეთ სოფელში, გესმის ამაღამვე, თორემ... ახლავე გაბრუნდი.

ვანიამ მოატრიალა ვასკა და უკანვე გასწია დასაზვერავად. აზრები კი უფრო აებურდა თავში. დასაზვერავად მეორედ გაგზავნა სეტოვის მიერ უკვე გამოცდა იყო და არა სხვა რამ. ან უნდა ჩაეგბარებია ეს გამოცდა ან უნდა რაღაც საშინელი მომხდარიყო მის თავს. ამიტომ პირდაპირ ნაცნობ ტაფობისკენ აიღო გეზი. მობინდებამდე ნაცნობ გვიმრის ბულულებთან მივიდა. გზა საძებარი არ ჰქონდა. კარგად იცოდა უკვე სამსხვერპლოდ დასახულ სოფლების მდებარეობა და მისასვლელი გზებიც.

ცხენიდან ჩამოხტა. ბალახზე მიუშვა ყანის გვერდით და თვითონ ნედლ გვიმრაზე წამოწვა. თავი მიდო და მიიძინა. გვიან, ღამის ფრინველებისა და ვასკას ფეხების ბაკუნმა გამოაღვიძა. მთვარე არ ჩანდა. სამაგიეროდ შავ ცაზე ძვირფას ქვებივით მიჭედილი ვარსკვლავები საკმაოდ ანათებდნენ მიდამოს. წამოდგა, თვალები მოიფშვნიტა და ცხენს მოსართავები გაუსინჯა. შეადგა ფეხი უზანგს და პირდაპირ, თითქოს იმ სოფლებში შინაური კაციაო გზას დაადგა. საწაბლის ბოლოს გვიან ვახშმობისას მიატანა. ვერავის შეხვდა და შორიდანაც ვერავინ დაინახა. პირქუშად იდგნენ ხის შენობები სიბნელეში ხეებსა და ღობეებს მოფარებულნი, თითქოს ყველანი მალულობიას თამაშობდნენო. ერთ სახლსა და ეზოს გარს შემოუარა. ადამიანის ხმა მაინც

ვერ გაიგონა. ბოლოს ძაღლის წკმუტუნი მოესმა. კარვად რომ დააკვირდა, მიხვდა: ძაღლი ტუჩებაკრული საღორეში ან საქათმეში ემწყვდია.

ყველაფერმა ამან ის დაარწმუნა, რომ წერილი ადგილამდე იყო მიღწეული და საწაბლეველებს ყოველგვარი ზომები მიეღოთ ხიფათის თავიდან ასაცილებლად. ვანიასაც ეს უნდოდა. ყოჩაღ, გოგონებო, დაასკვნა და გამობრუნდა პირდაპირ ნაწილისკენ.

თუ როგორი პასუხი მიეტანა უფროსისთვის ვერ მოეფიქრებია და რომ ეს მტანჯველი მდგომარეობა შეემსუბუქებია, მოგონებას მისცა თავი.

სად არ იყო, რომელი ქვეყანა არ მოიარა, რა არ უნახავს ოცდაექვსის წლის ბიჭს.

სტანიცა, ოჯახი, დედა, მამა, მაღალრქებიანი ხარები, ვასკას მშობელი შავი ფაშატი, სტანიცის გოგოები და ბიჭები, დაღესტანი, ბალყარეთი, ელევატორი და წისქვილი, სანიავებელი მანქანა და... გავრილა. უკანასკნელმა კი სხვებს დასძლია, განდევნა თავიდან და შიგ ტვინში მოიკალათა. აი სტანიცის ელევატორი. მოკლე პინჯაკიანი გავრილა ბუნკერთან ტრიალებს, ფორჯალებს, იცინის, მტვერით გაბუმბლული მოურიდლად ლაპარაკობს და ცეცხლივით ბწკრიალა თვალებს უპაჭუნებს უცნობებს და ნაცნობებს. პირველი შეხვედრაც გავრილასთან ახირებული იყო.

მამამ მეზობლის ფაშატი თავის ფაშატს შეუბა. პოდვოდით ოთხი კურენის საფქვავით დატვირთა, ვანიაც ზედ დაისვა და წისქვილზე გასწიეს. შუა გზაზედ, შელმართში ვიღაცას ფქვილიანი ტომარი და ორი გაპუტული ბატი ზურგს ჰკიდია და მიიჭაჭება. ვანიამ ფაშატებს უჭირა, გვერდით ჩაუარა ტვირთიანს. უეცრად მამის ხმა მოესმა:

— გავრილა, აქ მო, ტვირთი დაუდე და შენც შემოუჯექი.—ვანიამ ცხენები შეაჩერა. უცხო, გავრილა პოდვოდთან მოვიდა, ტვირთი ცალებზე შეაგდო, მერე ამოფორთხდა და მამამისის გვერდით დაჯდა.

აი ვავრილა კითხულობს: — ვლას, როგორ არის ბიცოლა აღათი? კიდევ ისეთი გულმოსულია? ჰა? ან დიდედა პელაგიას ჯერ საბრინჯედ ხომ არ გაუხდია საქმე, კოლიასი და იმ გოგოს საქმე როგორღაა? ჯერ შვრება ის სულწაწყმენდილი და ქალს არ აძლევს? იმ კვიცს თეთრი ფეხები დაჰყვა, ჰა?—მამა ზოგჯერ უდასტურებს, გულიანად იცინის. ამინდი და ხნულები, ცხენები და ძროხები ჩარიეს საუბრის თემაში და წისქვილის ჭიშკარიც გამოჩნდა. გავრილა ჩამოხტა, ნახევარ საათს არ ჩანდა. ამასობაში წისქვილს საფქვავი ჩააბარეს და ვანიამ პოდვოდში ცხენებს თივა გაუშალა. მამამ ორი აბაზიანი ჩაუდო მუჭში და თავის გავრილიანად სადღაც გაჰქრნენ. დილით სამთავეს ნამთვრალევთ გამოეღვიძათ პოდვოდის ქვეშ შიმშილისაგან შეწუხებულ ცხენების უკმაყოფილო ხვიხვინით. გამოიღვიძეს და „მონოპოლკაზე“ აფრინეს ვანია უმალვე. და აი ეს გავრილა ამ შორეულ ქვეყანაში კიდევ ერთხელ შეხვდა.

ორი კვირა იდგნენ სოფელში. ვანიას იქ საკმაოდ მოსწყინდა, ჩამოვიდა თუ არა ჭიათურას ნაწილი, იმ წამსვე შვებულება აიღო, ქუჩებს აღმადაღმა დაჰყვა. ხედავს ვანია, საალაფო დუქნის წინ ვიღაც კაცი დგას. ნახშირივით შავი, კეპკააწეული პირდაპირ მისჩერებია მას, თვალებს უპაჭუნებს და უცინის.

— ჰა, გავრილა, მართლა შენა ხარ?

ყვირის ვანია და სინჯავს, თვალი ხომ არ მატყუებსო.

— ყოჩაღ, ვანია, — ამბობს გავრილა. — ნამდვილი დარდიმანდი ყაზახი ხარ, საშიშარი როგორც გველეშაპი, მაგრამ ნაცნობის დავიწყება არა გცოდნია. ვაჟკაციც ასეთი უნდა, ბეჭებად გადაქცეულხარ, ცოლი ხომ არ შეგირთავს?

— ჰო, კარგი, ვავრილ, გეყოფა. ჩემი ჯაჰნაბამდეც, შენ ისა სთქვი, შენ აქ რომელმა ქარმა გადმოგაგდო?

— ეს ჩემო ვანია ჩემისთანა კაცის ბედია, რომ ასე მატრიალებს და დიდმა ქარმა აქეთ წამომიღო. იქ არ მომეწონა, აქ ჩამოველ. იქ არ დამაყენეს, აქა ვარ. მაგრამ სუყველგან ერთი და იგივეა, ერთი შესწვი, მეორე წაუსვი. მდიდარი და ღარიბი, ავი და კარგი, რა სტანიცა და რაღა ეს შავი ჯურღმული, ღმერთმანი ერთმანეთს ისე გვჯნან, როგორც პირში ზედა და ქვედა კბილები. — ამბობს გავრილა და ძველებურად თვალებს ჭუტავს, ხელებს ატკაცუნებს, კბილებს აჩენს.

— არა, გავრილ. ნაცნობს ეგრე როგორ დაუბლანდავენ? სწორად თქვი!

— თუნდაც აგრე იყოს. შენთან არაფერს დავბლანდავ ვანია. შენს კურენში დედაშენის გამომცხვარი პური გამიტეხნია, მარილზე დამიწია და გეტყვი, მეფესთან ვერ მოვრიგებულვარ, შენ რომ აგრე ერთგულად ემსახურები. და რატომაც ვერ მოვრიგებულვარ თუ გინდა, აგერ, ეს ქაღალდები გეტყვიან. — უთხრა გავრილამ და ერთი ბღუჯა თეთრი ფურცლები ჩოხის ჯიბეში ჩაუდო, თვალი ჩაუპაჭუნა და სწრაფად შემოტრიალდა. მერმე შორიდან დაუძახა. — ყაზახებსაც გადააკითხე. სათითაოდ დაურიგე, არავინ გაიგოს, მშვიდობით, თუ ღმერთი კვლავ ერთმანეთს შეგვახვედრებს, მაღარიჩი მაშინ ჩამოვასხათ...

გავრილა გაქრა, დაიკარგა, ისე თითქოს ქვეყნად არც ყოფილიყოს, ვანიამ ასეულისკენ გამოსწია. მალვით შემოვიდა ბინაში, ბევრი ეძება მოფარებული ადგილი. ძლივს მიაგნო. სიტყვასიტყვით ამოთვალა ქაღალდზე ნაბეჭდი სიტყვები და გაიზეპირა. სწორედ ის ეწერა შიგ, რაც ბევრჯერ უნატრია. თითქოს ვანია შეუსწავლია იმ ქაღალდის დამწერს. ღამით საჯინიბოში სათითაოდ ჩაულაგა ამხანაგებს აბგებში, დილით საშინელი ამბავი დატრიალდა, სეტოვმა მთელი ასეული დასაჯა და მზზიარებელს დაავალა სასტიკი თვალყური ედევნებია ბიჭებისთვის.

ამ ფიქრებში გართული ის შეუმჩნევლად ამოვიდა ულევზე და ასეულს შეუერთდა.

— ახლაც უშედეგოდ? — ჩვეულებრივად შორიდანვე მიაწვდინა სიტყვა სეტოვმა.

— არც გზა, არც კვალი, სინათლეც ვერსად შევნიშნე. — მიუგო ვანიამ.

— აი ბატონო, დილით მოგახსენეთ, რა შედეგითაც დაბრუნდებოდა. განა ახლა ყველაფერი ნათელი არაა? — ჩაერია მაზიარებელის ხრინწიანი ხმა ვანიასა და სეტოვის საუბარში. ეს კიდევ ცოტა იყო.

— ონ სამი ბილ ნაში სელუ, დოროგუ ზნაიტ, ვრიოტ ვაში ბლაღაროდია. — ჩაურთო ვიღაცამ დამტვრეული რუსულით. ვანიამ ყურები სცქვიტა. სიბნელეში, ყაზახების ზურგს ამოფარებული უცხო ვერ გაარჩია, თუმცა დარწმუნდა, რომ იგი „ტუზემცი“ იყო. სეტოვმა მათრახის ტარი ცხვირზე მიაჭირა ვანიას, დაიღრიჯა და ჰკითხა:

— ამაზე რა პასუხს იძლევი, ჰა?!

იმ ღამით ვანია არ დააპატიმრეს. თავისუფლად იყო. იარაღიც ზედ ჰქონდა. ერთხელ სეტოვმა მოიხმო და მოეფერა კიდევაც, სამაგიეროდ ყაზახები შეიცვალნენ. ვანიას შეხედვას თვალს არიდებდნენ, სალამზე არ ეხმაურებოდნენ. სალაპარაკოდ ხელთ ვერავინ იგდო. წვერიანმა მის მიახლოვების უმალ ნაბადი წაიხურა, პირქვე დაემსო და განგებ ხვრინვა ამოუშვა. ვახშამზე კაპტენარმუსმა აღარ მოიკითხა ვანია და აღარც თვითონ მიეკარა. როცა თავის ათეულის ნაბდის კარავში შევიდა, ყაზახები ზეზე წამოცვინდნენ და სიბნელეში გაჰქრნენ. თვითონვე დაანება თავი კარავს, ასეულის მოშორებით გაიტანა უნაგირი და ვასკასთან ახლოს წამოწვა. იმ ღამეს თვალი და ყური არ მოუღლია. ერთთავად უსმენდა, რა ხდებოდა, რას ლაპარაკობდნენ. სახეირო ვერა გაიგონა რა და ვერც იმ უცნობის სახეს მოჰკრა თვალი. ვაივაგლახით გათენდა. ნაცემივით წამოდგა ზეზე და ვასკას მოვლას შეუდგა. სწორედ ამდროს მას გვერდით ჩაუარა მაზიარებელმა ერთ ყაზახისა და იმ უცნობის თანხლებით. უცნობს გრძელი ქართული ჩოხაახალუხი ეცვა და თითბრის კავკაური ნალის ოდენა, ყვითელი ბრინჯაოს მედალი გრძელი და მსხვილი ჯაჭვით გულს დაჰპროწიალებდა. ყველაფრიდან სჩანდა ეს უცნობი ტუზმეცი იყო და ოდნავ ნაცნობიც. მერე ისიც გაიხსენა, სად ენახა. სწორედ ორი კვირის წინათ ამავე მედლით ვანიამ ის ნახა მაზრის უფროსის სამმართველოში სხვა მამასახლისებთან ერთად.

მაზიარებელი საღამომდე აღარ დაბრუნებულა. ვანია მთელი დღე თხილის ბუჩქებს არ მოშორებია და სეტოვმა რომ აღარ გამოუძახა, ამან იმედი გადაუწყვიტა. ბინდის ჩამოწოლამდე სეტოვმა ბრძანა მომზადება. ყაზახები მოემზადნენ და მამასახლისი ასეულს წინ ქვეითად გაუძღვა, რადგან ცხენი თვითონ არ ჰყავდა და ყაზახები თავისას არ დაუთმობდნენ. ვახშმობისას საწაბლეში იყო უკვე ყაზახთა ასეული. სოფელი უცდიდა იმათ გამოჩენას, ხის ძირად შეკრებილიყვნენ. ყაზახები თქარუნით მივიდნენ იმათთან და ჩამოხტნენ. გლეხები ზანტად წამოდგნენ. პურმარილი ხონჩით არავის დაახვედრეს. მთხოვნელიც არავინ გამოჩნდა.

— ეს არის საწაბლე? — ჰკითხა სეტოვმა მამასახლისს.

— ეს გახლავთ ბატონო! — მიუგო მან სოფლელების პირის არიდებით, რაც სეტოვს არ გამოეპარა.

— გეშინიათ?

— არა, ბატონო, რისი უნდა მეშინოდეს? — იცრუა მამასახლისმა. სეტოვმა კმაყოფილების ნიშნად ხელი მხრებზე მოუთათუნა.

— მაშ მხიარულად იყავი!

— რა გაეწყობა, ბატონო — ძნელი იყო მხიარული გუნება მოსვლოდა მამასახლისს. საწაბლეველები აქ იყვნენ. წარბებში ჩამალული თვალები კი საშვილისშვილო შურისძიების მუქარას აფრქვევდნენ. სეტოვმა ათისთავები ცალკე მიიხმო. მოითათბირეს. რიგითი ყაზახებმა არ იცოდნენ, რას აპირებდნენ უფროსები. ლოდინში ტახტებზე ჩამოკიდულებს თვლემა ერეოდათ.

თათბირი ჯერ არ დაეთავებიათ, რომ ნაცვალი და ორი ყაზახი ხელცარიელნი დაბრუნდნენ. ჭირნახული ვერსად აღმოაჩინეს და ცხენების საკვებად მხოლოდ ერთი ზურგი ძველი ჩალა ეშოვათ. სახორცედ კი ფიჩხივით გამხმარი უღლიანი ღორი დაეჭირათ ორღობეში.

— ამას მოველოდი, ამას მოველოდი! — გადმოჰყარა ცოფები სეტოვმა და თვალების ბრიალით ყაზახებს მიმართა: — ყაზახებო, ცხენებს არ მოხადოთ, სოფელს ყველაფერი გადაუმალავს, მარტო კედლებიღაა დარჩენილი, აქ ველარ ჩავდგებით, ამაღამვე გავბრუნდებით, საქმეს აღარაფერი უშველის, მაგრამ დამნაშავეს სამაგალითოდ დავსჯით. — და ვანიას, რომელიც მახლობლად იდგა და უკვე მიხვდა, ვინაც ყავდა სეტოვს ნიშანში ამოღებული დასასჯელად, თითი დაუქნია.

— აბა, ვანია, ახლა შენ იცი. თუ გსურს თავს გადაარჩენ, თუ არა და დაიღუპავ.

— მიბრძანეთ, ბატონო! — სწორედ ამ დროს, სად იყო და სად არა, მაზიარებელი აეყუდა ვანიას გვერდით, ვადას ხელი უტაცა, ქარქაშიდან ხმალი ამოუძრო, ძირს დააგდო და ბუმბულივით ააცალა მხარზე გამრავლების ნიშანივით გადაკიდებული შაშხანა.

— აკი რაღაც უნდა მიბრძანოთ, ბატონო ასისთაო! — სასოწარკვეთით გაუმეორა ვანიამ თხოვნა უფროსს.

— აი რა უნდა გიბრძანო, ჩემო მეგობარო, დავივიწყოთ რაც ერთმანეთისათვის გვიწყენინებია, დაე ისევ პატიოსანი ყაზახი გახდი, ეს ჩალები წაიღე, სახლებ ქვეშ შედევი, ცეცხლი მოუკიდე და ისევ ყაზახი იქნები. აი ყველაფერი. სხვა ჩემზე იყოს, მე ვიცოდე, ოღონდაც ასეულის სახელს ნუ შეარცხვენ, ნაწილს სახელს ნუ გაუტეხ.

— ამას არ მოველოდი, ბატონო ასისთაო, ყაზახის სახელი მე არ შემირცხვენია, ცეცხლი კი რად უნდა წაუკიდო? არ ვიცი, ვერ გამიგია. აქამდე მაგ საქმეს მე არ მავალებდი. ცეცხლის წამკიდებელი არა ვყოფილვარ და არც მინდა ვიყვე. მეგზური ვარ, ამ საქმეში როგორც გინდათ გამომიყენეთ, მიმსახურეთ.

— კარგათ ვიცი, როგორი მეგზურიც ხარ, გაიგე რასაც გეუბნები? გზა აგვიბნიე, ხომ მართალია?

ვანია დადუმდა. ეს მართლაც ასე იყო. ბრალდებად კმაროდა.

— მაშ არ უკიდებ ცეცხლს, უარს ამბობ?

— უარს ვამბობ, თუნდაც აქავე ადგილზე მომკალით. ყაზახის სისხლს კი ამით არაფერი ჩირქი ეცხება.

სეტოვმა გაიღიმა და ნიშნის მოგების კილოთი ჩაულაპარაკა მაზიარებელს:

— აბა ახლა შენი საქმეა, უპატრონე ვანიას.

— მესმის, ვუპატრონებ! — ჩაიყრანტალა იმანაც და მწყობრიდან ორ ყაზახს ანიშნა ახლოს მოდითო. ვანიამ დრო იხელთა, მაზიარებელს სარმა გაჰკრა, დასცა, გზა გაითავისუფლა. ისკუპა. გააფთრებული მივარდა ასისთავს. მუხრუჭივით მაგარი თითები გაუჭირა ყელში, სეტოვმა ხრიალი მორთო და ენა გამოაგდო. სხვა აღარაფერი დაუნახავს ვანიას. ტვინმა დაიქუხა, თვალებში ნათელი დაეკარგა. როცა გამოერკვა, თავის ვასკაზე იჯდა ქვემოთ ფეხებგაკრული, წინა ტახტაზე პირქვე დამხობილი. თავი უბეუოდა. საწაბლეს ცეცხლი ბუგავდა. ალი განთიადივით წითლად ღებავდა სოფლის თავზე დახურულ პატარა შავ ცას. ისმოდა მამაკაცების და პატარა ბიჭების ერთმანეთში არეული ღრიალი და წივილი. ვერ მიხვდა ვანია, აწამებდნენ იმათ, თუ საკუთარ სახლკარს სტიროდნენ. ერთიც შესაძლებელი იყო და მეორეც.

— ჩქარა გავსცილდეთ აქაურობას, — უბრძანა ათისთავებს სვეტოვმა და ცხენზე შეჯდა. ასეულმა მას მიჰბაძა. აღვირები მოიმარჯვეს.

— მე რას მიპირებთ, სად მტოვებთ ბატონებო? — ჰკითხა მამასახლისმა წასასვლელად გამზადებულ სეტოვს და უზანგში შედგმულ მუხლს მოეხვია.

— მომცილდი! — დაუღრიალა მან. მუხლი მაგრად გაჰკრა, მამასახლისი მიწაზე გაიშოტა. — სოფელში დარჩი, მე რა, სად უნდა წაგიყვანო?

— ამ სოფელში როგორღა დავრჩე, ღვთის გულისათვის მიშველეთ რამე.

— როგორც გინდა, თუ ღვთის გულისათვის არა ეშმაკის გულისათვის დარჩი. მასწავლებელი რომ არ გაგეშვა, მაშინ სხვა იყო, ბოქაულს ვეტყოდი, დამსახურებაში ჩაგითვლიდა.

— ვაი შენ ჩემო თავო, მომკლავენ, სულს ამომხდიან, ნაშიერიანად ამომბუგავენ.

— გამეცა, ჯანდაბას შენი თავი, ასეც ქნან, შეგწვან და შეგჭამონ! — მიუგდო პასუხი და დაძვრის ბრძანება გასცა. ვანიამ მიმოიხედა. ბეჭებში შეიშმუშნა. ზოგიერთი ნაწილები სტკიოდა, ისე კი თითქოს არა უშავდა რა. ეს იყო მხოლოდ ალში გახვეულ სოფელს თვალი ვერ გაუსწორა და ასეულს ბოლოში მოსდევდა მაზიარებელის ცხენზე გამობმული. ერთ ადგილას, გზის პირად ათიოდე კაცი შენიშნა. მწარედ ჩაფიქრებულნი ისინი შორიდან მისჩერებოდნენ, თუ როგორ იწოდა ცეცხლში ნაშრომ ნაამგარი და ავის თვალით გამოხედეს მიმავალ დამსჯელებს. ამ ხალხში კაკარდიანიც იდგა. ეს კაკარდიანი სოფლის მასწავლებელი იყო.

— აულიანე, ვაშა სტარშინა იუდა, პრედატელ, ბეიტე ევო! — დაუყვირა მოულოდნელად ვანიამ შეკრებილთ და აშკარად შენიშნა, რომ კაკარდიანმა გაიგონა. ვანიას მეტიც არ უნდოდა.

— ვსიო ზნაემ! — გაიგონა პასუხიც წმინდა რუსულის ენით წარმოთქმული და მეტი აღარ დასცალდა. კეფაში იგრძნო შაშხანის კონდახის ბრაგვანი.

— შენი დედა, ქრისტე, სარწმუნოება, იუდა, — აგინებდნენ ყაზახები სიბნელეში წაფორხილებულ ცხენებს და ბოჩიალით მოჰყვებოდნენ ხევის ნაღვარევიან გზას.

ამათ წინ, ხმის მისაწვდენზე კი მიდიოდნენ ორნი. ესენი იყვნენ ვანია და მაზიარებელი.

— ახსენე ღმერთი და მოემზადე!

— რას მიპირებ, ულმერთოვ!

— ბევრს არაფერს, კეთილო. თუ გინდა, ღმერთი ახსენე მეთქი.

— ხელი გამიხსენი, პირჯვარს გამოვისახავ, — შეეხვეწა ვანია და შეადგინა უეცარი გაქცევის გეგმა.

— არა, კეთილო, როცა შენისთანას ხელებს უხსნიან, ისინი იმ ხელებით პირჯვარს აღარ ისახავენ. — უთხრა მაზიარებელმა და ვანიას ცხენის აღვირს ხელი შეუშვა. თავისი განზე გაიგდო, შეაჩერა. თოფი გადმოიღო. ტყვია ხრიალით ჩააჩხრიალა და გამოუმიზნა. რატომღაც ავვიანებდა.

— ნუ მაწვალებ, ჩქარა მესროლე, ცოფიანო ძაღლო! კაენო! — დაიღრიალა ვანიამ. ეს იყო იმისი უკანასკნელი სიტყვები, ვაჟკაცური ნუგეში, რაც ადამიანს შეუძლიან მისცეს საკუთარ თავს, როცა შუბლის პირდაპირ აღმართულია ჯალათის მსახვრალი ხელი.

ორამდე დათვალა ვანიამ ხევის გამოძახილით ქუხილად ქცეული შაშხანის ჭექა. შემდეგ კი ყველაფერი წარიშალა. იყო და არა იყო რა.

გზის გადაღმით ღელის პირისაკენ ქურდულად ხრიდნენ ყაზახები თავებს.

— ეხ! წყეულიმც იყავი ადამიანის წუთისოფელო! — დაიღმუილა წვერიანმა.

— კტო ტამ ხე! სვოლოჩი! — დაუღრიალა სეტოვმა და რომ ასეული გაემხიარულებინა მაზიარებელს უბრძანა მეორე მითხარიო. ჩაახველა, ქუდი შეისწორა, ცხენს ლაგამი მოსწია, დეზი ჭკრა და კადეტთა კორპუსში ნაზუთხი სიმღერა წამოიწყო:

„ბოქე ცარია ხრანი.“

ყაზახებმა ფლიაშკები გამოწრუპეს, ნელა და უგემურად აჭყვნენ. უკან იწოდა სოფელი , ღელეში ციოდებოდა ვანიას სხეული. სეტოვი და მაზიარებელი ამბობდნენ საზეიმო სიმღერის პირველსა და მეორეს.

სამ აღლიანი ორმო გასჭრეს მეორე დღეს საწაბლევლებმა. ვანია მიწას მიაბარეს. საფლავი რომ არ დაკარგულიყო, გაზაფხულზე ვანიას ნაცნობმა გოგოებმა რბილ მიწაში ჩაფლეს ერთი ცალი კაკალი. თესლი გაიღოჯა. ამოვიდა, გაიზარდა. ახლა კაკლის ხე იმდენი წლისაა, რამდენიც გავიდა ყაზახების მიერ საწაბლის გადაწვიდან.

ეს იყო 1905 წელს.

გიორგი კალანდაძე

ფინეთის უბე პეტერგოფიდან

დღეს პეტერგოფში დაწმენდილი უნისლო დღეა,
მზიან ნაპირთან იფნის ჩრდილში ბანაობს ქაფი,
ბიბინებს თვალწინ ლურჯი ველი, ვრცელი და ღია,
მოვა ტალღა და მონპლეზირთან მოლოკავს ნაპირს.

მარად გმირული განცდით სუნთქავს ფინეთის უბე,
აქ ზღვის ფსკერიდან მეტყველებენ მამაცთა ძვლები.
რევოლუციის აიშალნენ გმირული წლები
და მორეკავენ რეაქციის დაფლეთილ ღრუბლებს.

ბალტიის გმირებს მივესალმო, ავფრინდე მინდა,
აფრინდა ქარი, აიტაცა თოლია ზღვიდან,
ალუბლისფერი შეერია ლილისფერ ხაზებს,

შორს ჰორიზონტზე აელვარდა კრონშტატის რკალი,
მზე ჩადის, წითლად შემოსილი მცურავი ქალი,
მწვანე ბაიდით სასეირნოდ გამოდის ზღვაზე.

ლადო ასათიანი

სამი ლექსი

დასვენების დღე

ვდგავარ და ვხედავ, როგორ თენდება
ეს დღე მთისა და ბარის ზეიმით...
ყოველთვის ტკბილად გამახსენდება
მისი უბადლო თვალისეირი.
ერთხელ მოსული, დიდი სიჩქარით
ჰქრება, მიდის და თვალებს შორდება,
მაგრამ ისევე, როგორც ცისკარი
კვლავ იბადება და მეორდება.
ეს დღე მაღლდება, როგორც სიცოცხლე,
როგორც სინდისი და ერთგულება.
დაივლის სახლებს, ჯდება მინდორზე
და გააჩაღებს მხიარულებას.
ისვენებს ხალხი, პოეტი მარტო
ფიქრობს და იწვის ლექსის მშვენებით,
და ვამბობ: ქვეყნად პოეტის გარდა
ყველას ჰქონია დღე დასვენების.
პოეტი ლექსის სტრიქონებს ებრძვის,
უხილავს, ფარულს, ჯერ დაუსტამბავს,
მერე წავა და შრომადღეს ეტყვის
დასვენების და გართობის ამბავს.

ლეჩხუმური შემოდგომის სურათები

რტოს მოაშორებს სიმწიფის ბედი,
დაგორდება და ვაზებს ჩაუვლის —
ბალღებში ყველას გაუსწრებს ერთი,
რომ ხელში იგდოს თურაშაული.
ხორბლის სურნელი ასდით კალოებს,
მზეც ძველებურად არ იკბინება

და უელვარებთ სავსე ტაროებს
ნამით ნაფერი ოქროს კბილები.
მთა-მთას გასცქერის, მთა-მთას გასძახის,
სადღაც, საყანედ ახოებს სჭრიან
და გაბმულ ყეფას აგებებს ძაღლი
ორღობეებში ურმების ჭრიალს.
ბარაქის თვალი დაიარს სოფლებს,
აღუღუნდება გიტარის სიმი —
დაიხმარებენ ნაცნობ-მეზობლებს
და მთელი ღამე არჩევენ სიმინდს.
მოაქვს ცხენისწყალს გლეხკაცის სახლთან—
ნარიყალა და მორები ფიჭვის,
ზამთრით ბუხარში აანთებს ხანძარს,
ოცნებასავით ნელ-ნელა იწვის.
ესმით ვენახში ანთებულ ატმებს
უზარმაზარი საწნახლის ქშენა,
ააქაქანებს სახლის წინ ქათმებს
და ხვამლის მთისკენ მიფრინავს ძერა.
ვათეთრებულა პატარა სხვენი —
ობობა ქსელებს აბამს და ლამბავს
და სარეკელას მადლიან ენით
წისქვილი ჰყვება მოსავლის ამბავს.

არ ვიცი ასე რამ შემაყვარა...

ყველა ხევსური და ყველა სვანი,
ქართველი ქალი თვალებმაყვალა,
ჩემი ტფილისი და ფიროსმანი
არ ვიცი ასე რამ შემაყვარა.
მოკვდა თუ არა, ყველამ აცხონა,
ცოცხალი არვინ არ მიიკარა,
მე ფიროსმანის ქუჩაზე ვცხოვრობ
და ყოველდილით ვხვდები ნიკალას.
ძილგატეხილი და არეული
ჭიქა არაყით გაიხსნის მადას,
მერე შეკრთება, ვით მთვარეული,
და ორთაჭალის ლამაზებს ხატავს.
ქართული ზეცა, ქართული ზვარი,
მტკვარი მღვრიე და მტკვარი ანკარა,
ჩემი ტფილისი და ფიროსმანი
არ ვიცი ასე რამ შემაყვარა.

მირზა გელოვანი

მაკნაბელა

ბორის ძნელაძის ქარიშხლიან
დღეებს, ვუძღვნი ამ პოემას.

1.

მთებს დაუჩნდათ თეთრი ჯიღა
თეთრი ღამით დანაფარი.
ნისლი გდია ერთი მჯიღა,
თუ ლამაზის სარაფანი.
აქ ჩურჩული ძალზედ ნელი
ყოველ ღამე თურმე ისმის.
გამოძვრება მერე გველი,
იღებს ხვითოს. ცაში ისვრის.
ისვრის ცაში, მაგრამ კაცი
გზას გადასჭრის ეგზომ მკაცრი!
ერთი ხელი გრძელი არი,
და გველი წვრილწელიანი —
მკლავს ეხვევა, მკლავი ხვითოს
ეტანება გველისდარად,
კაცი ზმუის, გველიც თითქოს
ცას შესწივის შესაზარად
და, დილამდის გასტანს ჟრჟოლად
გველისა და კაცის ბრძოლა.

ჰა საყდარი, ჰა ხეები,
ერთურთს დატოლებულები.
გაღმით სჩანან ციხეები
რუხად აბოლებულები —
აქ მოვიდნენ გოგონები
და ატირდნენ მოგონებით
ერთზე შეყვარებულები:

— გოგონებო, აქ არ იყოს
ჩოხა გაღეღილი.
ეშმაკობა არ შეგვიტყოს,
გოგონებო, ფრთხილად.
იქნებ სძინავს საყდრის შიგნით
ან სვეტს მოეფარა!
არ გაგვიგოს გულის ფიქრი,
დაიმალეთ ჩქარა.
გალავანი ასწლიანი
უკერიათ თერძებს; —
ჰგდია ლოდი ხავსიანი
და შენდობას ეძებს.
აგერ მტკვარიც ძველის-ძველი
უკვე ნაპირს გასცდა.
გულს ეყოფა ასი წელი
ამ ერთი დღის განცდა.
და თქვენც, მთებო, რუხო მთებო,
კავკასიის დებო.
ნიავი ჰჭრის, ლამაზებო,
ნანა, ჩემო მთებო!..

* *

მერე დასხდნენ საყდრის გვერდით,
გამოეყო ტოლებს ერთი —
ხედვა ოდნავ ალმაცერი
დობილის მკერდს ულუტუნა.
დაისველა თეთრი ცერი
და დაიწყო ცულლუტურად:
« — ალხო, მალხო,
ჩიტმა გნახოს.
შენი ფეხი
ფეხმანდუკი.
აბდა-უბდა —
გადასკუპდა.
ჰგევხართ ქაჯებს,
მეფევ, ჩაჯექ.
სკუპ-"

. . . . . .

მაგრამ ქალმა, ქალაშავმა:
ღამდებაო, წრე ჩაშალა.
ფურჯიხვივით წამოფრინდა.
აიყოლა სხვა ქალებიც.
ერთი დარჩა...
დაიბინდა.

დარჩა ოდნავ ნამკროალები —
და გაუწვა ღამის ზეფირს
გალეღილი საკინძეთი.

* *

— შეგობარო! ზეცის ტატნობს
აუტირდა მიკიოტი.
რისთვის დარჩი ასე მარტო,
ვითომ სახლში მიდიოდი!..
გოგო, უკვე დედა გელის,
გზას გასცქერის დედაბერი.
წადი. აუგს ვინმე გიზამს,
თუ კი მარტოს შეგეყრება.
ტანი გიგავს შინდის ისარს,
შვილდად ვინმე აგეკვრება.
დაბნელდა და როგორაო —
სახლში წადი, გოგონაო.

* * *

ძველი იფნი ჭრიალებდა
მკლავსხვილა და ტანხატულა,
ქარმა ნისლი თრიალეთთან
კურდღელივით აახტუნა.
და გრიგალი ნისლის ციხეს,
ხან ლურჯსა და ზოგჯერ ქერას:
ხერთვისიდან წამოიღებს
ვაზიანში დასაფენად.
წამოიღებს, არ ასვენებს,
ზოგჯერ გეზი აერევა.
ასჯერ მაინც ააშენებს,
ას-მეორედ დაენგრევა.

* * *

მთვარე მოდის, ის კი დარდობს
და დიდებაც დაიჯერა.
იგი ას გულს ვადაადნობს
ერთი გულის მოსარჩენად.
წამოხვეტავს ბამბის ფთილებს,
ალაგ-ალაგ დაფენს ჩრდილებს.
მერე მთვარე, ცივი მთვარე
ღრუბლის ნაბადს მოიფარებს.
და ველს ზემოდ მუქი ხენი
მოტირალად შექუჩდება.
ღამე ფშვინავს გულოხერი
მერე ღამეც გაყუჩდება.

არც ნიავი აჩქამდება,
არც მდინარე აჩქარდება
და ლოდებზე ცოტა დაბლა
ნაბად-მოხდილ ყაჩაღებთან —
სიჩუმე და შიშის ზაფრა
ხანძარივით გაჩაღდება.
ვადაუვლის მწყემსის თეოს,
ბუ რომ კივის ღამის ფერა:
— ვერ იპოვნე, თევდორეო? —
— ვერა... ვერა! —

* * *

გოგომ ქვევით გაიხედა,
მოჰყვებოდა ბიჭი ბილიკს.
ზოგჯერ ჩრდილი ჩაიხვევდა
ნაბიჯს დინჯს და ოდნავ ირიბს.
ჯერ იფიქრა: — დავიმალო,
არ გამოვჩნდე ბიჭთან.
ახლა ბიჭი გააწვალოს
უსაფუძვლო იჭვმა.
უცებ იცნო, უცხო იყო
ტანზედ ჩოხა როდი ეცვა
(მერე სხვებიც ამოვიდნენ
და შეგროვდნენ ხესთან ვიდრე,
მთამაც ნისლი აიკეცა).

* * *

მიკისფერო ჩრდილებს შლიდა
მოქანავე ვერცხლის ფარი.
ქარს მოჰქონდა შიგდაშიგა
მეგობართა ნაუბარი:
საუბრობდა მხოლოდ ერთი
და სიტყვები ასე მკვეთრი:
შავს ღამეში ზუზუნებდა
და ჩუმ მეგობართა შორის;
ვინმე ჩაიფურჩულებდა:
— მართალია ბორის! —
— მართალია! — ღამე ჩუმი
იმეორებს ქართან ერთად.
— მართალია! — და ჩურჩული
დაამოწმებს გულისფეთქვას,
როცა წმინდა გრძნობით ნაქსოვს
იშველიებს კობას აზრებს.
— რატომ ცოდნა არა მაქვსო! —
გოგოს ნატვრა გააბრაზებს.

და როდესაც ფრთხილმა თვალმა
ამხანაგთა დაშლა ბრძანა.
გოგო თუმცა ლოდთან დარჩა,
გული ლოდთან არ დამრჩალა.
... ჯერ კი იდგა როგორც სევდა
მიწისა და ღრუბლებს შორის.
მერე ბილიკს ჩასდევდა და
ჩურჩულებდა:
— ბორის! —

* * *

სახლში იწვნენ.
დაწვა ისიც —
ძილი სადღაც გაპარულა!...
სადღაც ზარის რეკა ისმის,
მიწა ოხრავს დაფარულად.
ოხრავს მერე, როგორაო,
დაიძინე, გოგონაო! —

* * *

— გამოცურდა მთვარე-გუნდა,
გული დაადარდიანა.
დაიძინე, თორემ უნდა
დილით ადგე ადრიანად.
მალე მთვარეც მთებში ჩავა,
დაიძინე, ქალაშავავ.

* * *

ან ჩამოდის დაბლა ეგებ,
მუქი ფანჯრებს ისე ათოვს.
უძილობას გაგიგებენ,
ბუებს გაუხარდებათო.
ქარმაც ნისლი მოკონაო,
დაიძინე, გოგონაო!

2.

წვანან როგორც კამბეჩები,
თითქოს აღარც გული უცემთ.
რაღაც ჩუმი გალენჩებით
იცოხნიან დღეთა ფურცლებს.
მაგრამ, როცა ელვის თვალნი
ქართან ერთად იალებენ,
ღრიალებენ მაშინ მთანი,
ლომებივით ღრიალებენ.
დაიყრიან ყვითელ ფაფარს —
ლოდინი ჰყეფს საზარ ხმაში.

ლრიალებენ ისე მძაფრად,
ისე მწარედ ჰყეფენ მაშინ...
აშლის ლრუბლის სველს ჭილოფებს
გამთოშავი ქარის ფრთები.
თითქოს დევნი ქორწილობდნენ
ლრიალებენ მთვრალი მთები...
და დილით კი, როს ჩრდილები
გაჰყვებიან ღამის ბოდვას —
წვანან ისე მორჩილები,
თითქოს მშვიდად სძინებოდათ.
წვანან, როგორც კამბეჩები,
ვიდრე ბინდი მზეს დაბადებს.
ფშვინავენ და გალენჩებით
იცოხნიან განთიადებს.

* * *

ვერცხლნარევი ზეცის უბე
დაზნექილა დაშარულა.
მზე ამოჩნდა. მერე ლრუბელს
სხივი მოსდო ავშარულად.
მესვეური მკერდ-შიშველა
მიწას აყრის სხივთა ულოს.
ხევსურული დაშნა ელავს
თუ მარილა მზე ორღესულობს?!
ალაპლაპდა მღვრიე მტკვარი
და იქ სადაც ქოჩორს იხვევს;
ჰყვინთავს ციხე. რუხი ციხე
ამაყი და მაინც მტკნარი.
და ციხეში უმანდილოდ
მოიყვანეს გოგო დილით.

* * *

იქ, უფროსთან ჩუმი დაღლა —
წუთით იგრძნო გულის ფეთქვამ.
„— ნუ ჯიუტობ, გოგო, ახლა
ყველაფერი სჯობდა გეთქვა.
ვინ იყავით? — პასუხს ველი,
შენს ხელშია შენი ბედი.
გინდა? წახვალ უვნებელი,
გინდა? სიკვდილს შერიგდები—“

„— უი, დედას გეფიცებით,
გალავანის ახლო-მახლოს;
არავინ არ დამენახოს —
არ გამიწყდნენ კარგი ძმები!

საყდარია. ქვები ყრია,
იქვე ხე დგას ახალგაზრდა.
არავინ არ მინახია
იმ ხისა და ლოდებს გარდა.
იქნებ კაცის-მაგვარ ლანდად
ვინმეს მოეჩვენა რამე.
ქარი იცის შავნაბადამ,
ნისლები და თეთრი ღამე.
საყდარია. ქვები ყრია,
იქვე ხე დგას ახალგაზრდა.
მე არავინ მინახია
იმ ხისა და ლოდებს გარდა.
სხვა რა გითხრათ. სულ ეს ვიცი,
თუნდ ხატებზედ დამაფიცოთ".

„— ქალო, ცრემლი ამაოა,
მხოლოდ თვალი გალურჯდება.
ხვალ უშენოდ მზე ამოვა —
გლუპავს შენი დამუნჯება.
გსურს? იოცხლე კიდევ დიდხანს,
ოღონდ კრების რამე გვითხარ! —"

. . . . . .

მაგრამ ქალი, სიტყვის ნაცვლად,
სდუმდა მკაცრად.

* * *

ო, ეს ღამე... ცივ ლოდებთან
მხოლოდ მთვარის ლანდი მოვა.
ხე გრიგალებს ელოდება
და დუმილის მკაცრი დროა.
შავო ციხევ! ქარნი ქრიან
მთებს გადალმა შენაბერი,
ნეტავ ლიბო დაგინგრია,
მოკვდეს შენი მშენებელი.
მოკვდეს ბედთან ნაშარები,
ვინც სიშავე დაგიბედა,
ვინც კარი და ფანჯარები
ცივი რკინით დაგიჭედა.
ამ კედლებმა ბევრი დილა;
ბევრი გზები გადალობა.
ხალხის ცრემლით დანესტილა
შენი ლიბოს ძვალმაგრობა.
გული ვერვინ დაგირბია,
ქვის გული და ლურჯი ქავი.

ბევრი მკლავი დაგილპია,
ჯიშიანი ვაჟის მკლავი.
გაცოცხლდა და ცაში ადის
მათი გულის ხვაშიადი.

* * *

და ამაღამ, როცა ლურჯად
ღრუბლებს შუა ელავს ქარი,
როცა მთები გაირუჯა
და შავლეგო გახდა მტკვარი.
როცა მთვარეს სავსე ცურით
მოეწყინა სერზე ჯდომა.
გახდა ასე საცნაური
თმაყვითელი შემოდგომა.
აქ ვინ გასძლოს? თანაც გვიან
ღამე ფშვინავს შენებრ ბნელი.
ნეტავ ლიბო დაგინგრია,
მოკვდეს შენი მშენებელი.
მოკვდეს. იქნებ ცრემლი გვიზღოს
ტანჯულ ხალხის დავალებად.
წაჰყვეს ჩემი ჩუმი ზიზღი,
შენი ჩუმი დანანება.
დაჰკრან ზარი...
გახსნან კარი,
ფოლადისას სტეხდნენ შვილდებს.
შენს კედლებსაც ცეცხლის ქარი,
შენს ლიბოსაც ქარი შლიდეს.
ოლონდ ჩქარა, თორემ ღელვით
ვიღაც მღერის:
„—დაცვივიან დღეები,
გაივლის დაბინდება.
ტანტიტველა ტყეები
ისევ აბიბინდება.
ცა რომ გადიბადრება,
მწვერვალს გადეზნიქება.
მაშინ ქარიც ჩადგება,
და აღარც მე ვიქნები.

3

სად წასულან მაინც დრონი,
ის დღეები სად წასულან?
ის ღრუბლებიც საავდრონი
გამქრალან და დათარსულან.

შუახანი გადაცვითეს
მაშინდელმა გოგონებმა.
ბევრი ლიმი გაიცრიცა,
დარჩა ბევრი მოგონება.
— დიდება თქვენ! ვინც სიმშილით
გაიარეთ გზა საძნელო.
დიდება თქვენ, კომკავშირის
შილიონო ძნელაძენო!
ქარის შემდეგ მზე მოვიდა,
ყიამეთში თქვენ რომ გეხმოთ.
მოჰყვა გმირთა ხსოვნა წმინდა
და გარდასულ ბრძოლის ეხო.
ვინც იბრძოდა, ვინც იწოდა,
ვისაც ხალხი ჩაჰყვა დარდად.
ვინც სხვა სიტყვა არ იცოდა
ერთი სიტყვა: „ბრძოლის“ გარდა! —
მათი ხსოვნის ნიშნად შევსვათ,
მათ დაკვალეს გზა საძნელო.
ძმებო, ასწით აზარფეშას
იყოს გმირთა სადღეგრძელო!..

* * *

ახლა ქართლი ვილამ იცნოს!
ჩვენ, ვინც სიკვდილს ნატვრად ვთვლიდით.
აღარ გვეყო მიწა ვიწრო
ცას იმიტომ აუცვივდით,
ამირნობა სდომებიათ,
ლომურად რომ ირჯებიან.
განა მართლა ლომებია?
ჩვენი უბნის ბიჭებია.
მზეს სიშორე არც ენებოს,
ლეგა ლრუბელს ცამ აჯობა.
— გამარჯობათ, არსენებო,
— როსტომებო, გამარჯობათ!..
— გამარჯობათ! — მეც იქ მივალ
სადაც თქვენი მიჯნა არი.
ერთი ჩუმი ჯეელი ვარ,
ჩემი ქვეყნის ერთი ლარი.
უფრო მარჯვედ, უფრო მკაცრად —
დავდგეთ ჩვენი ქვეყნის კართან.
მთებს გახედეთ! ქვების ნაცვლად
ძვლები ყრია წინაპართა.

მზეს სიმორე არც ენებოს
ლეგა ღრუბელს ცამ აჯობა.
— გამარჯობათ, არსენებო,
— როსტომებო, გამარჯობათ!...

* * *

იქ კი, სადაც კიპაროსებს
დაუხრიათ წამწამები;
ნაძვი რტოებს იგოროზებს
გრიგალისგან ნაწამები.
სდგას ძეგლი და ქალაქს იქით
გზებსა შინჯავს, ცივი მზერა.
ან ქარებში იბრძვის ფიქრით,
ან შორეულ ხანძრებს ზვერავს.
და ერთ დილით ბაღში ერთგან,
კოლმეურნე ქალი შესდგა.
დააყურა ხეთა დუმილს,
და უცნაურ გრძნობით სავსემ
ძეგლს შეხედა. მერე ჩუმი
ფიქრობდა და იდგა ასე.
იდგა. სიო თმებსა შლიდა,
ტანიც ისე მოტრიალდა.
მხოლოდ წარბი მოიშვილდა,
მხოლოდ თვალი მოწყლიანდა.
ვულმაც წუთით იგრძნო სევდა,
ნამდვილი და მაინც შორი.
მერე ქუჩას მისდევდა და
ჩურჩულებდა:
— ბორის!

* * *

ქართლის მიწავ, უტკბილესო,
საყვარელო ქართლის მიწავ.
ჩვენს ცხრათვალა დიად მზეს და
ჩვენს ალისფერ დროშას ვფიცავ!
ამ მწვანე ხეს, ძვლებზედ გაზრდილს,
ამ ლოდების ხავსს და ნაჟურს,
კავკასიონს ცამდის აწვდილს
შავნაბადას, გულდაჟანგულს,
ამ ბუჩქებს და იმ ქერა ნისლს,
დილაობით შენ რომ იცვამ,
დაცემულთა დაქცეულ სისხლს,
დაღუპულთა ხსოვნას ვფიცავ!
ქარსა ვფიცავ, ხეს რომ არხევს,
სანამ ნისლებს შემოაზევს,

საკაძის ხმალის ნატეხს,
უკვდავებით ნათილისმარს,
ნარიყალას წარსულ სახეს,
აწ დარჩენილ ლიბოს ვფიცავ!
ვფიცავ სვანის ნათქვამ ლილეს,
ვფიცავ ჩემი ლექსის ნინევს!
თუ ოდესმე, როგორც ძველად,
ამ ცას ვინმე შეგეცილოს...
წმინდა ვალის მოსახდელად
უყოყმანოდ შეგეწირო.
მოვკვდე ისე ღიმილმჩენი,
ვით კვდებოდნენ გმირნი ძველად.
რომ, სამშობლოვ, საქმე ჩემი
დარჩეს შენდა სადღეგრძელოდ!

* * *

ჩვენო მიწავ!
ლაჟვარდებში,
ვინც ქარს შეხვდა გამკლავებით.
ვინც გაღეღილ საგულეში
ჩაიბნია ვარსკვლავები.
ვინც შებორკა მტრების ზრახვა,
ვინც ქმნის მუდამ, იგი მე ვარ.
მე ბელადმა თვითონ მნახა,
მე ნაომარ არწივს ვგევარ!
შორს სახელი გამივარდა,
შორს წასულან ჩემი ხმები.
მე ოცი წლის გმირი ვარ და,
საუკუნე მიმაქვს მხრებით.

რევაზ მარგიანი

ელეგია

პატივისცემით, იმერულით ყელამდე სავსე
ლეჩხუმისაკენ ბრუნდებიან მძიმედ სვანები,
გზა ძველისძველი იგრიხება ღვირიშის თავზე,
გზა საცოდავი, გათელილი და ნაწვალები.

ლეჩხუმში, თურმე, ჩვეულებრივ ამინდს სჩვევია
იმერელივით გაფიცხება და გადარევა.
მაინც რა გახდა — ეს ოხერი გამოდარება —
წვიმიანი დღე მგზავრებს გზაში დაჰბედებიათ.

მიდიან მთელი სიმდიდრე და ავლადიდება —
მარილით სავსე თითო გუდა ზურგზე ჰკიდიათ,
წვიმს და გუდაში სანუგეშო მარილი დნება
და დამნაშავე, დამნაშავე კვლავ ამინდია!

... სოფელში ოხვრით შემოვიდნენ დაღლილ მუხლებით,
ვერ შეამჩნიეს ლეჩხუმლებმა უცხო მგზავრები...
ჩოჩქოლი იდგა უღმერთო და უზიარები —
დატრიალებდნენ დაფლეთილი ახალუხებით.

— რა ამბავია?. გაკვირვებით ჰკითხეს სვანებმა,
მიიღეს დინჯი, უკარები სახე მსაჯულის,
დაბლიდან ვიღაც მოიწევდა გადაქაჩული
— „აღარც სინდისი, არც მირონი, არც დანანება!“

სვანებს უამბეს, რომ მეწყერი ყოფილა ღამით,
ცოდვილი მიწა ნამეტნავად გამწარებულა —
ვინმე ოტია ჩიქოვანი მთელი სახლკარით
ახვლედიანის ეზოკარში ჩაბრძანებულა.

ჩაბრძანებულა, წაუღია მამულ-დედული
და ნათლიმამის მამულ-დედულს ეპატრონება,
ვინ გაარჩიოს, რომელია გამწარებული?..
ან ვისი არის ვენახი და მთელი ქონება!

... სამართალს ბჭობდნენ, გარს უვლიდნენ ბაღს და ვენახებს,
სვანებმა მიწა აღარავის აღარ არგუნეს —
ბუმცა ვახტანგის კანონებიც გადააბრუნეს,
ვერც რუსი მეფის კანონების წიგნში ვერ ნახეს.

და ვერაფერი მოიფიქრეს გასაშველებლად,
რა ეთქვათ — სიტყვამ აღარ გასჭრა ზრდილობიანმა,
— რა დააშავა მელოია ახვლედიანმა —
მის მამულ-დედულს ძირს მოქცეულს რა ეშველება!

... ვერ მიუყენეს ვერც კანონი, ვერც სამართალი,
მეწყერს სწყევლიან საშინელი შფოთის მოთავეს —
ახვლედიანიც ეცოდებაო საწყალ სახლკარით
და ვერც ოტია ჩიქოვანის აყრას ბედავენ.

კლასიკური მემკვიდრეობა

ტარას შევჩენკო

*
* *

სამშობლოსკენ მიმავალი
დაიკარგა გზები,
ველარ ვნახავ უკრაინას,
უცხოეთს მოვკვდები.
თვითონ მევე წილადა მაქვს
ეს სიმღერა, ღმერთო,
მძიმე მაწევს გულს სიობლე,
სიამე წამერთო.
მე გავშალე ფართოდ გული
ხალხის სინათლისთვის,
მაგრამ სჭკნება და ბინდდება
უპასუხობისთვის.
ჰქრება ტკბილი ოცნებები
ბნელში მარტოობით!
არასდროს არ მიცხოვრია
სიხარულის გრძნობით.
არ მაღირსა შემოქმედმა
სიყვარული, ტრფობა,
სამშობლოში ჩემს სატრფოსთან
ტკბილი ოჯახობა.
უსიამოდ, მოწყენილად,
სამწუხაროდ, მკრთალად
მიცურავენ დღეღამენი
უცხოეთში კვალად.
მძიმე არის, ღმერთო ჩემო,
მძიმეა და მწარე
დაფარულად მქონდეს გულში
ფიქრები მგზნებარე.

ძნელი არის ვერ ვიძმო
წმინდა ოცნებებით,
რომ არავის არ გავუნდო
ტანჯვა ძმურ სიტყვებით.
მხოლოდ ერთსღა შევთხოვ ღმერთსა
დუმილში მყოფელი:
ვსთხოვ არ მომცეს უცხოეთში
მე სამარე ბნელი,
რომ სიცოცხლის ბოლო მაინც,
მჭკნარმა ტყვეობაში,
გავატარო ჩემ სამშობლო
ტკბილ უკრაინაში.

თარგმ. **ი. მეჯლიშვილისა**

ლაკით სასუნი

ნაწყვეტი

როს ცნო მელიქმა სიკვდილი მჰეროს,
თვის სპასალარებს ბრძანება მისცა:
შეჰკრიბონ ჯარი... — მისირის ბატონს
უნდა დაიპყროს სასუნთა მიწა.
წინად სასუნი იყო მოხარკე,
მაგრამ მჰეროს დროს გახდა აზატი.
მკაცრი მელიქი ჩქარობდა, ომით
ისევ მოესპო ხალხის ლაზათი.
ჯარს წინ გაუძღვა შიშველი ხმალით,
მთელი სასუნი მოსრა, არბია.
მიართვეს ხარკი, ძღვენი ორწილად,
მაგრამ მელიქის გული ხარბია.
წაასხა ფარა. რემა ნახირი.
გაანადგურა ეზო და ყანა.
დაიმორჩილა ყველა მცხოვრები,
ოჰან და ვერგოც ტყვედ წაიყვანა.
გავიდა ხანი. ძენოვ-ოჰანმა
შიმართა მელიქს: მოგვეც დასტური,
რომ შინ, სასუნში დავბრუნდეთ ისევ...
მელიქს დაეტყო ღიმი მაცდური.
ალუთქვა, მაგრამ ჯერ მახვილის ქვეშ
შან გაატარა ოჰან და ვერგო.
მელიქს სურს ხმალქვეშ დავითიც დადგეს,
კრძალვა და შიში გულს ჩაუნერგოს.
მაგრამ ბავშვმა თქვა: თუნდ ვნახო ერთდღეს
ყველა მელიქი თავებმოჭრილი,
მაინც მანდილით მიჯობს ვიარო,
ვიდრე მაგის ხმლის გავხდე მორჩილი.
რატომ მამცირებს მე ვიცი, ვატყობ:
მას ეშინია და ფიქრობს მარტო,
რომ ხვალ, როდესაც დიდი ვიქნები
მასზე მახვილი მე არ ავმართო.

არა, მის ხმალქვეშ მე არ გავივლი...
ამდროს ვერგო წვდა, წვერით ნაფარი.
მაგრამ დავითი იდგა უძრავად
როგორც მიწაში ფეხებნაფალი.
ვერგომ კვლავ ცადა დავითის მოგვრა,
მაგრამ გაუსხლტა უცებ მღელვარე,
ამ დროს მან სალკლდეს მოარტყა ნეკი
და კლდემ გამოსცა შუქი ელვარე.
როცა ეს ნახა, მისირის მელიქს
შიშმა წაართვა ღონე და ძალი.
ბრძანა: ჯერ სამი წლისაა, მალე
არ ეყოლება ამ ქვეყნად ცალი.
ვით ტყვე ოთახში იყოს ნიადაგ,
ჩვენ არ მოგველის მისგან კეთილი...
როს გაიღვიძა დავითმა დილით,
დახვდა სადგომი კარდაკეტილი.
გაბრაზებული მივარდა კარებს,
ჩამოხსნა უცებ რკინის თითებით.
გავიდა გარეთ და ხედავს ბაღში
დგანან ხეები დიდზე დიდები.
ბაღში ბავშვები რბიან ყიჟინით,
მაგრამ მათმა ხმამ ვერ გაახარა.
მოკიდა ხელი ერთ მაღალ ჩინარს,
მოღუნა, დაბლა წვერით დახარა.
და უთხრა ბავშვებს: მოდით, შეჯექით
ამ ხის ტოტებზე, როგორც მხედრები,
ბავშვები მყისვე გამწკრივდნენ ხეზე,
თან უცქეროდნენ დავითს ვედრებით.
დავითს-კი დიდხანს ხე კვლავ ეჭირა,
და როს ეტკინა ძლიერ ხელები —
ჩამოდით მალე, მკლავი მეღლება —
შესძახა ბავშვებს მან გახელებით.
მაგრამ ბავშვებმა არ გაუგონეს,
არ მოერიდნენ ხიფათს უჩინარს.
მაშინ დავითმა, ძალ-დალეულმა,
უეცრად ხელი გაუშვა ჩინარს.
გასწორდა ხე და კვლავ აღიმართა
იქ, სადაც იყო ის ამოსული.
ბევრი დაშავდა. ხოლო ბევრს ხიდან
არ დაყოლია მიწაზე სული.
დიდგვაროვანმა მათმა მამებმა
მელიქის კარზე შექმნეს თათბირი:
მეფე ხარ, გვიხსენ იმ გიჟისაგან,
თორემ აღარ გვაქვს აქ დგომის პირი.

დიდმა მელიქმა მრისხანედ ბრძანა
ისეთ საკანში ის დაემწყვდიათ,
სადაც მზეს აწი ვეღარ იხილავს,
ვერც მოიშორებს თვალთაგან წყვდიადს
და მიუჩინა ბავშვს მამამძუძე, —
იქნება შიში გულს ჩაუნერგოს.
ხოლო ფარეშს-კი მელიქმა უთხრა:
როდესაც დავითს ულუფა ერგოს,
ხორცი იქნება — არ გაყვეს ძვალი,
ხილი იქნება, — არ გაყვეს კურკა...
ერთხელ ფარეში გაანაწყენეს,
შური და მტრობა ჩაიცვა ქურქად.
და თქვა: მთელ მისირს ვანახვებ სეირს:
დავითს მივუტან დღეს ძვლიან სადილს.
ჭამოს და მოკვდეს, ოღონდ-კი მალე
ავისრულებდე სურვილს და წადილს.
წაუღო იჯრა, მაგრამ დავითმა
ძვალს ვერაფერი დააკლო ძალით.
მაშინ გაჯავრდა და ალალ-ბედზე
დაგმანულ სარკმელს ესროლა ძვალი-
ძვლისგან გახვრეტილ ჭუჭრუტანიდან
მიწას დაეცა ნათელი ვარდად.
მან ვაიფიქრა: ნეტავ რა არი,
თან დასაჭერად მზის შუქს მივარდა?
დაემხო ძირს და ისევ წამოდგა,
ისევ დაემხო, შუქი დგას იქვე.
ამდროს კარებში ჩნდება გამზრდელი
და ხედავს დავითს დამხობილს პირქვე.
მან ჰკითხა: დავით, რა დაგემართა?
მიწაზე გდიხარ, ასე ვით ევნე?
დავითმა უთხრა: ეს აქ მოვიდა
და აღარ მიდის, თუმც დიდხანს ვდევნე.
დახუჭე თვალი — ურჩია მძუძემ,
მერმე, რომ მოსპოს შუქი დიადი,
მან ჭუჭრუტანა ჩვარით დაგმანა,
საკანში ისევ დადგა წყვდიადი.
დავითი ამბობს: მის განსადევნად
რამდენს ვეცადე, რა არ ვიღონე.
შენ-კი ერთბაშად იგი დაგნებდა,
ჩანს ჩემზე უფრო ხარ ძალის მქონე.
გამზრდელი ეტყვის: ჩემო ძვირფასო,
ის ხომ მზე იყო და არა კაცი,
მან უპასუხა: თუ მზეი ქვეყნად,
მე აქ რათ მტანჯავს წყვდიადი მკაცრი!

— ჩემო ძვირფასო,— კვლავ ეტყვის მძუძე,—
მზეც არი, ღამეც, შავადბურვილი.
— მაშ გამიყვანე დღის სინათლეზე.
— ჯერ მეფეს ვამცნო შენი სურვილი.
მძუძე ეახლა მეფეს და უთხრა:
დავითი ითხოვს გასვლას ხაროდან.
მეფემ თქვა: წადი, გამოიყვანე,
თუმც გულში ეს მას არ უხაროდა.
გამოიყვანა დავითი მძუძემ,
ქალაქში ბავშვი იყო პირველად,
რასაც ნახავდა გზაზე ხარს თუ ცხენს,
ეჩვენებოდა გასაკვირველად.
გაცილდნენ ქალაქს. უცებ ხედავენ
შეყრილა ხალხი მინდორს ჩქოლიანს.
დავითმა უთხრა მაშინვე გამზრდელს
მივიდეთ, ვნახოთ რა ჩოჩქოლია.
მძუძე — კი ეტყვის: იქ, ჩემო კარგო,
არაფერია. ვიაროთ სხვა მხრით.
— გამიძეხ ჩქარა! — შესძახა ბავშვმა.
არ ძალმიძს. — მძუძემ უთხრა თავდახრით.
— უშენოდ წავალ. — დაასკვნა ბავშვმა...
გადაუხვია გამზრდელმაც გზიდან.
დადგნენ ისინი მინდორის ბოლოს,
ამჩნევენ რაღაც მოფრინავს ციდან.
თურმე იქ მყოფნი ისროდნენ გოგუთს,
როს ძირს დავარდა, ივივ გოგუთი
დავითმა ტყორცნა, ნატყორცნის ქარმა
მისირის მელიქს მოხადა ქუდი.
მეფემ თქვა: ჰეი, ჩემი გოგუთით
მიწაზე მოლი ვის მოუსრია.
წავიდნენ — ნახეს, დაბრუნდნენ — უთხრეს:
დიდო მეფეო, დავითს უსვრია.
ბრძანა: მომგვარეთ, თავი მოვკვეთო.
აქ ვეზირებმა თხოვეს მუდარით:
გფარავდეს ღმერთი, ის ხომ ბავშვია,
ვით მტერი, რათ გსურს, ნახო სუდარით.
თან ვეზირებმა ბავშვის მძუძესთან
გაგზავნეს კაცი და დააბარეს:
მტვრად გექცეს სახლი, აქ რა გინდოდა,
ახალვე ბავშვის კვალი დაფარე.
მძუძემ თქვა: ნებით აქ წამოსვლაზე
არც-კი დამიძრავს სიტყვა ბაგედან,
თვით მაიძულა... ეჯიბმა უთხრა:
ჭირჩევ, წახვიდეთ მალე აქედან.

მძუძემ დავითი შინ წაიყვანა
და შეეჩვია ის ოთახს ქვიანს.
ბოლოს შეატყო, რომ ყოველ დილით
მელიქი მიდის, — ბრუნდება გვიან.
და, ჰკითხა ბავშვმა მისირის ხათუნს —
დედი, მელიქი სად მივა დილით?
რომ საღამომდე შინ არ ბრუნდება.
მან ბავშვს მოწმინდა შუბლი მანდილით
და მერმე უთხრა: ჩემო პატარა,
იგი გოგუთის ტყორცნით ხალხს ართობს.
— რატომ ნეტავი მეც არ წამიყვანს,
აქ სულ მარტო ვარ და გული დარდობს.
მავედრე, აწი ნუღა დამტოვებს...
ხათუნი ეტყვის: შენ, ჩემო ბიჭო,
ვშიშობ გაგთქეროონ ველზე ცხენებმა,
ნუ თუ ვარაფი გსურს მომანიჭო.
ატირდა ბავშვი და თან ლუღლუღებს —
მხედართგან მე შორს მექნება გეზი.
ამ დროს მელიქი მოვიდა, დედას
დავითის ცრემლის ჰკითხა მიზეზი.
დედა უცხადებს: ვთხოვ წაიყვანო,
მანაც ისწავლოს გოგუთის სროლა.
— დავით, ბავშვი ხარ — ბიმართა მეფემ —
სად შეგიძლია შენ ჩვენთან სრბოლა.
— მოვდივარ შენთან. — იყო პასუხი.
ხათუნმაც უთხრა: მე მაგის მოთქმის
კვლავ მოსასმენად აღარ მაქვს ღონე.
მეფემ თქვა: არის ჯიუტი მოდგომის.
შეგვამთხვევს ხიფათს... დედა კვლავ ეტყვის:
შენი ორგული ვერ ნახავს ხეირს.
ნუ გეშინია. მახლობელ მთაზე
დასვი, იქიდან უყუროს სეირს.
უფრთხილდი, ქვევით არ ჩამოვიდეს,
თორემ დაღუპავს ცხენთა ხადილი.
მისირის მეფემ აღუთქვა დედას,
რომ ბავშვს წაიყვანს უთუოთ დილით.
დილას მელიქმა პატარა დავითს
თავისი ხელით მიგვარა ცხენი.
შემდეგ ერთ მთაზე ორი მხლებელით
დატოვა იგი მეტად ნაწყენი.
როცა მცველებმა შებოჭეს ბავშვი
და აქეთ-იქით დაუდგნენ ფარად,
დიდი მელიქი ჯარით, ამალით
და მამაცებით დაეშვა ბარად.

მალე მინდორზე იწყეს თამაში,
ბავშვი კი თითქმის ვერაფერს ხედავს.
ხან ოდნავ ესმის საკრავთა ხმები,
ხან თვალს ძლივს მოჰკრავს მარბენალ
მხედარს.
მოსვლისთანავე მიწაზე დაწვა,
ბორგავდა როგორც ნარზე მძინარე.
შეშინებულმა ხათუნმა ჰკითხა:
რა მოგივიდა, ან რად მძვინვარებ?
მან თქვა: მელიქმა დამტოვა მთაზე,
ეს ორი კაცი თან მომცა მცველად.
მე ვერაფერი ვნახე. დავბრუნდი.
თვითონ-კი ახლაც ნავარდობს ველად.

თარგმანი **რაჟდენ გვეტაძისა**

კ ო ი ტ ი კ ა

დოც. ანა ჩხეიძე

ტარას შევჩენკო

I

1939 წელს, 9 მარტს, შესრულდა 125 წელი უკრაინის გამოჩენილი პოეტის, დიდი დემოკრატისა და რევოლუციონერის ტარას გრიგოლის-ძე შევჩენკოს დაბადებიდან. 1861 წელს ცნობილმა პოეტმა ნეკრასოვმა შევჩენკოს გარდაცვალების გამო დაწერა შესანიშნავი ლექსი, სადაც პოეტი შევჩენკოს დაღუპვაში ბრალს მეფის ჯალათებს სდებდა.

ტარას შევჩენკომ გამოცადა მეფის ჯანდარმული რეჟიმის ყველა საშინელება: ციხე, საპყრობილე, გადასახლება, სალდათობა, მაგრამ ამ მწვავე პირობებში შევჩენკომ ურყევად შეინარჩუნა დამონებული ხალხისადმი ცხოველი სიყვარული, მჩაგვრელებისადმი შეურიგებელი ზიზღი და აღფრთოვნებული რწმენა რევოლუციის გამარჯვებისა, რომელიც მიანიჭებდა თავისუფლებას არა მარტო მის საყვარელ უკრაინას, არამედ რუსეთის იმპერიის ყველა მშრომელს.

ტარას შევჩენკო დაიბადა 1814 წ. 9 მარტს კიევის გუბერნიის, ზვენიგოროდის მაზრის სოფელ მორინცაში, ყმა გლეხის ოჯახში. მომავალი პოეტის ზურგზე გადაიარა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ბატონყმობის უსაშინელესმა ექსპლოატაციამ. დაუძლურებული ბატონებისაგან შრომით, მშობლები ადრე ეხოცება შევჩენკოს, და ბავშვს თვითონ უხდება გზის გაკველევა. მცირე ხნის სწავლის შემდეგ, ერთ ლოთ დიაკვანთან, ბავშვი იძულებულია დადგეს მწყემსად. როცა 15 წლისა იყო შევჩენკო, მისმა ბატონმა, მემამულე ენგელგარდტმა წაიყვანა იგი შინ ხელზე მოსამსახურედ. ამ დროიდან შევჩენკო ხდება შინაყმად და განიცდის ყველა იმ დამცირებას, რასაც ბატონები ახვედრებდნენ თავიანთ შინაყმებს. ტ. შევჩენკო ბუნებით დაჯილდოვებული იყო მხატვრის დიდი ნიჭით. მალულად ბატონებისაგან, იგი ეძლეოდა თავის საყვარელ საქმეს. ერთხელ ბატონმა შეუსწრო ხატვაზე და სასტიკად სცემა ბავშვს.

1831 წელს ენგელგარდტი გადადის პეტერბურგში საცხოვრებლად და გაიყოლიებს თან ტ. შევჩენკოს სხვა შინა ყმებთან ერთად. აქ მას 4 წლით მიაბარებენ ფრიად უკულტურო მხვატარ-მღებავ შირაევს. მემამულე ბატონებსაც ესაჭიროებოდათ „საკუთარი მხატვრები". ეს მაიმე წელიწადებია ტარასისათვის, მაგრამ მას არ ტოვებს მხატვრად გახდომის იმედი. იგი ეცნობა მხატვრულ და ლიტერატურულ წრეებს. მას მფარველობას უწევენ მხატვარი სოშენკო, სამხატვრო აკადემიის მდივანი გრიგოროვიჩი, პოეტი ვ. ა. ჟუკოვსკი და მწერალი გრებიონკა. შევჩენკოს თვალსაჩინო მხატვრული ნიჭი იპყრობს, აგრეთვე, ცნობილი მხატვრის — ბრიულოვის ყურადღებას. ტარასს ეხმარებიან მეგობრები, ცდილობენ გზა გაუხსნან, მაგრამ მთავარი დაბრკოლება მხატვრისათვის ბატონყმური მდგომარეობა იყო. ოლად არ უშვებდნენ ბატონები თავის მონებს. ენგელგარდტან მოლაპარაკებამ არ გამოიღო სასურველი შედეგი. მან გადაჭრით მოითხოვა სასყიდელი 2500 მანეთის რაოდენობით, იმ

დროისთვის გაუგონარი თანხა. ეს ფულები შეკრებილი იქნა ბრიულოვის მიერ დახატული ჟუკოვსკის სურათის ლოტორეაში გათამაშებით. ენგელგარდტს არ უთაკილებია ამ თანხის აღება და შევჩენკოც 5 მაისს 1838 წ. გათავისუფლდა. მისი ბიოგრაფები გვიამბობენ, რომ პოეტი სიხარულისაგან ბალღივით ქვითინებდაო. ამ დროიდან (1833 წ.) შევჩენკო შედის სამხატვრო აკადემიაში და აღწევს დიდ წარმატებას.

ტარას შევჩენკო დაჯილდოვებული იყო აგრეთვე შესანიშნავი პოეტური ნიჭით. მისი პოეტური მოღვაწეობაც 1838 წლიდან იწყება. პოეტი წერდა პოემებს, ლირიკულ ლექსებს, სადაც რომანტიულად გამოთქვამდა თავის უსაზღვრო სიყვარულს მშობლიური უკრაინისა და დაჩაგრული გლეხობისადმი.

იდეურ-პოლიტიკურ ზრდასთან ერთად, პოეტის რომანტიული სოფლშეგნება იცვლება და იგი გადადის რეალისტურ შემოქმედებაზე. უდიდესი მხატვრული ძალით ამხელს პოეტი ბატონყმურ ურთიერთობას, მეფესა და მის დამქაშების ძალმომრეობას მშრომელი ხალხის მიმართ. ამ ლექსთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა პოემამ „სიზმარი“.

მრავალ-ტანჯული უკრაინა, რომელიც ისტორიულად ჯერ პოლონეთის გაბატონებული კლასების სასურველ ლუკმას წარმოადგენდა და პოლონეთის პანები და შლიახტა აწიოკებდნენ უკრაინის მშრომელ გლეხობას, პოლონეთის პოლიტიკურ დასუსტების შემდეგ, მე-18 საუკუნიდან, რუსეთის კოლონიური პოლიტიკის აგრესიის საგნად ხდება.

ამიტომ გასაგებია, რომ მაშინ უკრაინაში საკმაოდ ძლიერი იყო ნაციონალისტურ-პატრიოტული განწყობილება ყოველგვარი ინტერვენტების წინააღმდეგ, უფრო კი მეფურ რუსეთისადმი, როგორც რეალური საფრთხის წინაშე.

ამგვარი განწყობილება დამახასიათებელია ჩვენი პოეტისათვისაც. ამით ცდილობს ისარგებლოს ბურჟუაზიულ-ლიბერალურმა წრემ, კირილე — მეთოდეს საზოგადოების სახელწოდებით, რომელსაც სათავეში ედგა ცნობილი ისტორიკოსი კოსტომაროვი. ეს წრე ცდილობდა მიემხრო ტარას შევჩენკო, მაგრამ ტარასისათვის იმთავითვე ცხადი იყო მათი იდეალებისა და მიზნების დაშორება. შევჩენკოს ჰქონდა ამ წრის ზოგიერთ წევრთან მეტად პირადი, მეგობრული კავშირი, ვიდრე პოლიტიკურ-იდეური.

მიუხედავად იმისა, რომ ტ. შევჩენკო არ ყოფილა ამ საზოგადოების წევრი, იგი მაინც შეიპყრო ხელისუფლებამ 1847 წელს, კიევის მახლობლად, და გაძლიერებული მცველებით გადაგზავნა პეტერბურგს, III განყოფილების განკარგულებაში.

წრის ლიბერალურ მონაწილეებს დიდად არ გასჭირვებიათ დაემტკიცებიათ ხელისუფლებისათვის თავის ქვეშევრდომებითი განწყობილება და ცარიზმის ერთგულება, ისინი შეღარებით იოლად გამოვიდნენ ამ საქმიდან, ტ. შევჩენკოს მიმართ საქმე კი სულ სხვანაირად დატრიალდა: დუბელტების მახვილ მზერას არ გამოეპარა პოეტის ნამდვილი დემოკრატიული და რევოლუციური სახე. შევჩენკოს წინააღმდეგ აღიმართა მთელი მისი შემოქმედება, განსაკუთრებით „სიზმარი“. დაკითხვაზე შევჩენკოს დაუსვეს საკითხი:

„რა შემთხვევამ მიგიყვანათ თქვენ იმ თავხედობამდე, რომ სწერდით ამგვარ თამამ ლექსებს მეფის წინააღმდეგ და იმ უმადურებამდე, რომ დაივიწყეთ მეფის პიროვნებაში და მის ოჯახში, გარდა მათი დიადობისა, მათი ნაზი ზრუნვა თქვენზე ბატონყმობიდან გამოსყიდვის დროს?“ ამრიგად შევჩენკოს ენგელგარდტიდან გამოსყიდვა 2500 მანეთად თურმე შევჩენკოზე მეფის „ნაზი ზრუნვა“ ყოფილა (!).

ტარას შევჩენკომ ქედი არ მოიდრიკა მეფის წინაშე და მას მოექცნენ ნიკოლოზის რეჟიმის მთელი სიმკაცრით; რომელმაც იმსხვერპლა არა ერთი უდიდესი ნიჭი და მაღალი გონება. მოვიგონოთ დეკაბრისტები, პუშკინი, ლერმონტოვი, გრიბოედოვი, პოლეჟაევი და მრავალი სხვა.

ტ. შევჩენკო გადასახლებული იქნა სამუდამოდ ორენბურგის გუბერნიაში, იქიდან — ორსკის ციხეში და იქ ჩარიცხეს ჯარისკაცად მე-5 სასაზღვრო ბატალიონში. განაჩენზე ნიკოლოზის ხელით წარწერილი იყო: „უსასტიკეს მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნით, წერისა და ხატვის აკრძალვით“.

მეფის ყაზარმის უსაშინელეს პირობებში გაატარა შევჩენკომ ათი აუტანელი წელი. ოაგრამ ვერც გადასახლებამ, ვერც ყაზარმის სასტიკმა პირობებმა ვერ მოსტეხეს პოეტის მძლავრი სული, პირიქით აქ, გადასინჯა რა წარსული, შევჩენკო განმტკიცდა სულით, საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც რევოლუციონერი-დემოკრატი და აივსო შეურიგებელი სიძულვილით ბატონყმურ-თვითმპყრობელი წყობის მიმართ.

ნიკოლოზის სიკვდილის და ალექსანდრე II გამეფების შემდეგ, მრავალ კულტურულ, მოწინავე ადამიანთა ხანგრძლივ შუამდგომლობის შედეგად, მოხერხდა შევჩენკოს გათავისუფლება 1857 წელს, იგი დაბრუნდა პეტერბურგში, სადაც დიდი სიხარულით შეხვდნენ მისი მეგობრები.

მიუხედავად სასტიკი აკრძალვისა, შევჩენკო მაინც ახერხებდა ციხეში მალულად ლექსების წერას, სადაც სამშობლოს დაშორების დარდს და მჩაგვრელებისადმი ზიზღს გამოთქვამდა. პეტერბურგში დაბრუნებისას შევჩენკოს შემოქმედება ფართოდ გაიშალა, ახალი ძალით აღორძინდა მისი დაუდუმებელი ჩანგი. ამ დროის ნაწარმოებებს ეკუთვნიან დეკაბრისტების ხსოვნას მიძღვნილი პოემა — „ნეოფიტი", პოემა „მარიამი" და მრავალი ლირიკული ლექსი.

გადასახლებაში გატარებულმა მწვავე წლებმა თავისი გამანადგურებელი გავლენა მოახდინეს. მათ ვერ მოსტეხეს პოეტის მძლავრი სული, სამაგიეროდ დაასუსტეს და დაავადეს მისი ორგანიზმი. 1861 წ. 10 მარტს, ტარას გრიგოლის-ძე შევჩენკო გარდაიცვალა პეტერბურგში და დაკრძალულ იქნა იქვე, მხოლოდ თვენახევრის შემდეგ დროთო მთავრობამ ნება შევჩენკოს ნეშთი გადაეტანათ უკრაინაში. იქ, 1861 წ. 10 მაისს, კანევის მახლობლად დნეპრის ნაპირზე მისივე ანდერძით დაკრძალეს ტ. შევჩენკო ჩერნეჩის გორაკზე.

ტანჯული პოეტის დიდი სახელი საშიში გახდა ხელისუფლებისათვის მისი სიკვდილის შემდეგაც. უკრაინაში დაკრძალვის დროს მთავრობამ მიმართა ყველა ზომას, რათა არ დაეშვათ პოეტისადმი პატივისცემის არავითარი გამოვლინება.

უკრაინის ხალხში პოეტის პოპულარობა, რომელიც ყოველწლიურად იზრდებოდა, შიშის ზარს სცემდა მთავრობას და აიძულებდა მას სასტიკად აეკრძალა ყოველი ცდა ტ. შევჩენკოს დაბადების ან სიკვდილის დღის აღნიშვნისა.

II

თუ დიდი პოეტი, დემოკრატი ნეკრასოვი თავის მუზას უწოდებდა სევდისა და მრისხანების მუზას, არა ნაკლები უფლებით ეს განმარტება მიენიჭება შევჩენკოს პოეზიას. ჭეშმარიტად მისი პოეზია აღვსილია მჩაგვრელთა მიმართ მრისხანე ზიზღით და იმავე დროს სავსეა უზომო სევდით და მწუხარებით, ვინაიდან პოეტის მხურვალე მოწოდება, მისი თამამი მხილება ამაოდ ეხეთქებოდა ნიკოლოზის რეჟიმის ურყევ კედლებს და ითელებოდა დუბელტების და ბენკენდორფების ჩექმებით.

— პოეტს უყვარს თავის მშობლიური უკრაინა, გულწრფელი და ნაზი სიყვარულით. მისი უკრაინა დაბეჩავებულ გლეხობის უკრაინაა. იშვიათად თუ მოიძებნება პოეტის შემოქმედებაში ლექსი, რომელიც არ დასტიროდეს უკრაინელ გლეხობის ტანჯვას და არ მიმართავდეს უსაზღვრო სიძულვილით მშრომელთა მჩაგვრელებს, რომელთა რიგებში გვევლინებიან, როგორც მეფის ჯალათები, ისე უკრაინის მემამულეები.

აი, შევჩენკოს ახალგაზრდობის პირველი მშვენიერი პოემა „კატერინა", რომელსაც გადაკრავს პოეტის პირველ ეტაპისათვის დამახასიათებელი, რომანტიული ელფერი. ამ პოემაში გულწრფელად აღწერილია უკრაინელი გლეხი ქალის მწვავე ბედი, რომელიც იღუპება რუსი ოფიცერის თავაშვებულობის შედეგად. აქ პოეტი პროტესტანულად განწყობილია თვითმპყრობელურ წყობილებისადმი, თუმცა პროტესტი ჯერ კიდევ რომანტიულად შენელებულია.

ამ პერიოდში დამახასიათებელია შევჩენკოსათვის, აგრეთვე, უკრაინის წარსულის რომანტიული იდეალიზაცია. ლექსში „ფიქრო ჩემო" პოეტი ოცნებობს უკრაინის აღდგენაზე:

„დე, იქროლონ უკრაინას
ძველ კაზაკთა ჩრდილებმა,
იქროლონ და ინავარდონ
ვრცელ სივრცეზე გაშლილებმა".

ამავე განწყობილებით გამოწვეულია დიდი ოსტატობით შესრულებული ვრცელი პოემა-„გაიდამაკები". შევჩენკო მიმართავს უკრაინის ისტორიულ წარსულს და თავისი იშვიათი მომხიბლველი ნიჭით აცოცხლებს პოლონეთის ინტერვენტებთან უკრაინის გლეხობის ბრძო-

ლის ერთ-ერთ ეპიზოდს — გაიდამაკთა აჯანყებას, რომელიც 1768 წელს მოხდა. სრულიად შემთხვევითად არ ჩაითვლება ის გარემოება, რომ შევჩენკომ თავის პოემის ცენტრალურ ფიგურად გამოიყვანა იარომა-ღარიბი უკრაინელი მოჯამაგირე გლეხი და ამით ხაზი გაუსვა იმას, რომ გაიდამაკების მოძრაობა იყო ღარიბი გლეხების მოძრაობა. პოემის დასაწყისში პოეტი იარომას გვიხატავს სასტიკ ექსპლოატაციის ქვეშ. იგი უწყინარი, მშვიდი ჭაბუკია, თითქმის შერიგებია თავის ბედს, მაგრამ გადის დრო, ვითარდება გლეხური პროტესტანტული განწყობილება, შლიახტისა და პანების აღვირახსნილი თარეშობა აფხიზლებს იარომას.

„პოლონელების მრისხანე ხელით
დღეს მთელი მხარე ოხრავს და გმინავს,
და ეს წამება უკანასკნელი
ტანჯავდა ჩიგირინს და უკრაინას.“

უკრაინელთა მოთმინების ფიალა აივსო:

„უკრაინა ახმაურდა,
არ დამცხრალა დიდხანს იგი,
უხვად რწყავდა სისხლი ველებს
და მეფობდა სისასტიკე.“

გაიდამაკთა რიცხვში შედის ჩვენი იარომაც, საერთო მიზნების გარდა იწვევს მას პანებთან ბრძოლაში პირადი შურისძიება მისი საყვარელი ოკსანას მოტაცებისთვის. იარომ თავის მამაცობით, ვაჟკაცობით და მრისხანე შუღლით ნამდვილი ხალხური გმირია.

უდავოა, არც ეს პოემაა თავისუფალი ერთგვარი რომანტიული იდეალიზაციისაგან, მაგრამ ამავე დროს პოემა სავსებით რეალისტურად ასახავს იმ დროინდელ პოლიტიკურ სიტუაციას, პანებისა და გლეხობის განწყობილებას და მათ ბრძოლას.

ტარას შევჩენკოს იდეურ-პოლიტიკურ მომწიფების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს პოემა „კავკასი“, დაწერილი 1842 წელს. ცარიზმის დამპყრობელობითი მიზნები მიისწრაფება მთიულეთის ძალით დამორჩილებისაკენ. ამას კიცხავს პოეტი და უცხადებს ჩვენ მთიულებს სოლიდარობას:

„როგორ გავბედოთ შენთან კამათი,
ვინ გვკითხავს შენთა საქმეთა განსჯას.
დაგვცინის, გვადგას თავზე ჯალათი
და წილად გვერგო ცრემლი და ტანჯვა.“

დიდი სიძლიერით ასახავს შევჩენკო ცარიზმის აღვირახსნილ თარეშს უდანაშაულო მთიულებზე. ამავე დროს შევჩენკო აღტაცებაში მოყავს მთიულთა გმირულ ბრძოლას და იგი ამხნევებს მთიულ მოძმეებს:

„დიდება თქვენ ვაჟკაცობას, თოვლიანო მთებო.
თქვენ დიდება, არ დანებდეთ მოძალადე სვავებს,
იბრძოლეთ და გაიმარჯვებთ, შორეულო ძმებო.
ზეცის მადლი ეფინება თქვენს ჭაღარა თავებს.“

პოემაში შევჩენკო ოსტატურად ამხელს ცარიზმის დამპყრობელ პოლიტიკას, რომელიც ხალხში კულტურისა და განათლების შეტანის ნიღაბით იპყრობდა მხარეებს და, რომელსაც „მოლდაველთა მინდვრებიდან ფინეთამდე ყველას ენა დაუდუმა“.

შევჩენკოს რეალისტური შემოქმედების მწვერვალად გვევლინება პოემა „სიზმარი“. პოემაში პოეტმა გამოააშკარავა ბატონყმობის საშინელი სურათი, სადაც საწყალ გლეხს „დაკონკილ პერანგს ტყავთან ერთად ხდიან“, „ბეგარისათვის აწამებენ უპატრონო ქვრივებს“, „ერთადერთი ვაჟი შებორკილი ჯარში, „ლობის ძირში დაგდებული ბავშვი გაუბერავს შიმშილს“, „დედა კი ოფლს ღვრის საბატონო ჯეჯილის მკაში“, შევჩენკო გადადის სასახლის „სამოთხის“ დასურათებაზე. აქ პოეტი ნიკოლოზ I, მის მეუღლეს და მთელ სასახლის დიდკაცობას კარიკატურულად გვიხატავს და თან არ ივიწყებს მათი არსის გამომჟღავნებას. ამით შევჩენკო აღწევს უდიდეს ეფექტს: მეფეებს წაერთმევა მთელი ის დიდება და სიამაყე, რომლითაც მეფეთა მესვეურები ცდილობდნენ მათ გაზვიადებას ხალხის თვალში.

სასტიკად დასცინის შევჩენკო მეფეს და მის მეუღლეს და ამავე დროს, ამხელს, სასახლის პოეტების თვალთმაქცობას.

ამ ნაწარმოებში პოეტი მეფეებს ხატავს ასეთი ეპიტეტებით: „ჯალათები", „ხალხისჭამიები", „ცბიერები", „წყეულები", დიდკაცობა — „გასუქებული ტახები", „ჯამილოკიებს" და სხვა.

დიდად მოხდენილად, ჭკუამახვილად გადმოცემულია პოემაში ნიკოლოზ I მმართველობის მთელი სისტემა, რომელიც ეყრდნობოდა უფროსის შევიწროებას ხალხის საბოლოო გაუპიროვნებამდის:

„ო, რას ეძებს მეფის თვალი
ასე განრისხებულის,
ერთ ბობოლას უცქერს, უცქერს,
და თვალებში ცეცხლავს. უცებ.
მოილოკავს უბედური.
უმცროსს ფაშვში ჩასცხებს მკერ.
აყიყინდნენ, ადგა ბური .....
უმცროსს ვიღა შეაჩერებს?...
თვისზე დაბალს ცემით ნაყავს,
არ დაირღვეს არსად წესი —
აქ დაბალმაც გამონახა
კაცი მასზე უმდაბლესი,
ეს გადადის ზღრუბლებს იქით,
მთლად შეუკრავთ ქუჩა გმირებს,
თარეშობენ, ახლა რიგით
მართლმორწმუნეთ დაუშინეს."

დიდი იყო პოემის გამარევოლუციონერებელი მნიშვნელობა. მეფეები მიწიურ ღმერთებიდან გადაქცეულია კარიკატურულ-სასაცილო ფიგურებად, თანაც გამომჟღავნებულია, როგორც მათი სულიერი არარაობა, ისე მთელი სისტემის სიჩლუნგე და ბოროტების „სიხმარი" სვლებით მართებულად შეიძლება ჩაითვალოს ცარიზმის საწინააღმდეგო მწკავე პოლიტიკურ პამფლეტად.

პოეტი არ ივიწყებს უკრაინელი გლეხობის მეორე საშინელ მტერს მემამულეებს. ცნობილ ლექსში „ცოცხლებს და მკვდრებს" შევჩენკო ცხარე საყვედურით მიმართავს ლიბერალურ აზნაურობას, რომელიც ზერელედ გაცნობია ევროპის მაღალ იდეებს, უსესხიათ იქიდან ლამაზი და მოხდენილი ფრაზები და სინამდვილეში კი აწარმოებენ სასტიკ ექსპლოატაციას ყმებზე.

თუ თავის შემოქმედების ნაადრევ პერიოდში შევჩენკო ერთგვარად აიდეალებდა უკრაინის წარსულს და გეტმანების როლს, ახლა მისთვის უკვე ნათელია გეტმანთა კლასობრივი სახე და მათი ექსპლოატატორული არსი.

„ტალახნი მოსკოვისა, ფეხთმლოკავნი მონები
და ვარშავის ნაგავნი იყვნენ თქვენი პანები,
თქვენი დიდი კაცები, ის თქვენი გეტმანები."

ამ ლექსში პოეტი პირდაპირ აშინებს მემამულეებს მომავალი გლეხური რევოლუციით.

„გაიღვიძეთ, იყავთ კაცნი,
თორემ მწარე გელით ხვალე:
დღეს რომ არის შებოჭილი,
ხალხი ხუნდებს დაწყვეტს მალე."

ლექსში „დიდო პანებო, რომ მოგესმინათ". შევჩენკო აღშფოთებულია მემამულეთა დამცველ მწერლების მიერ უკრაინის გლეხობის ცხოვრების იდილიურად წარმოდგენით. პოეტი ამჟღავნებს ამ მწერლების მიერ სინამდვილის გაყალბებას და იძლევა ტანჯულ გლეხობის ცხოვრების სწორ სურათს.

როგორც ვხედავთ, შევჩენკოს შემოქმედებაში მძლავრია მხილებითი ნაკადი. აქ პოეტი დგას რუსეთის საუკეთესო რევოლუციონურ-დემოკრატიის წარმომადგენელთა პოზიციებზე, როგორიც იყვნენ ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი, ნეკრასოვი და სხვები. მაგრამ ამ მხილებასთან ერთად ისმის შევჩენკოს პოეზიაში სევდისა და მწუხარების მოტივები, გადმოცემული პოეტის მიერ მომხიბლავ ლირიკულ ლექსებში. პესიმისტურ განწყობილების წყაროდ გვევლინება იგივე რუსეთის საშნელი სინამდვილე, რომელიც ახშობდა ყოველივე მოწინავე, გონიერ და ნათელ გამომჟღავნებას. პოეტის ენთუზიაზმი ვერ ნახულობდა ნიადაგს. იმდროინდელ რუსეთში პოეტი ვერ ხედავდა ძალას, რომელიც დაანგრევდა საზიზღარ სინამდვილეს და გაათავისუფლებდა მშრომელებს.

მაგრამ პესიმისტური ნოტები კვლავ იცვლებიან მხნე მებრძოლ მოტივებით, მრისხანე საყვედურით ამხელს პოეტი ნიკოლოზ პირველს დეკაბრისტების წამებისათვის (ლექსი „Юродивый"), რუს მეფეს ადარებს იროდს, მის დამქაშებს უწოდებს „მონებს ორდენებით გულზე", „ლექსებს ოქროს ლივრეებში, „მისი დიდებულების ნაგავს", დედოფალს წყევლას უგზავნის „ლეკვების" გამოზრდისათვის („ვიცი, არ სცემენ ქვეყნად წაქცეულს...")

როგორც ვხედავთ, შევჩენკოს სიძულვილი მჩაგვრელთა წინააღმდეგ არასოდეს არ შესუსტებულა. ამასთან ერთად, პოეტის გულში თანდათან მტკიცდება მომავალი რევოლუციის რწმენა.

„.....ხალხი შეგნებით
სიმშვიდით, როგორც გამოფენაზე,
მეფეს აიყვანს სახჩობელაზე."

შევჩენკოს სჯერა რევოლუციის აუცილებლობა, იგი პირდაპირ მოუწოდებს ხალხს აჯანყებისაკენ. თავის ბრწყინვალე ლექსში „ანდერძი" პოეტი მიმართავს მომავალ თაობას:

„მაშ დამმარხეთ, წამოდექით,
იწყეთ ბორკილთ მსხვრევა,
სილაღეზე, მტარვალების
ბოროტ სისხლის ფრქვევა".

გასაგებია ამის შემდეგ ის სიბრაზე და სიძულვილი, რომლითაც თავს ესხმებოდნენ ტ. შევჩენკოს მეფის ჯალათები და სდევნიდნენ მას, არა მარტო სიცოცხლეში, არამედ სიკვდილის შემდეგაც.

სამაგიეროდ შევჩენკო უყვარდა ხალხს, იგი ამაყობდა პოეტით, მისი „სიმღერები" და „ფიქრები" უშუალო გამოძახილს პოულობდნენ ხალხის გულში, ვინაიდან პოეტის მთელს შემოქმედებას ასაზრდოებდა უკრაინის მშვენიერი ხალხური პოეზია. ფოლკლორთან სიახლოვემ შეუქმნა ლირიკოს პოეტის შესანიშნავ ნიჭს სამაგალითო ნიადაგი. აქედან გამომდინარეობს პოეტის ხალხურობა და რეალიზმი, რამაც მის პოეზიას მსოფლიო რეზონანსი მისცა. ჩვენი ეპოქის უდიდესი მწერალი მაქსიმ გორკი დიდად აფასებდა შევჩენკოს მის შემოქმედების ხალხურობისათვის. „... მან დაიმსახურა მაღალი შეფასება, როგორც პირველმა და ჭეშმარიტად ხალხურმა პოეტმა, რომელსაც ხალხის ფიქრები და გრძნობები არ დაუმახინჯებია თავისი სუბიექტიური დამატებებით. მის ჩივილში პირად ბედზე ისმის მთელი უკრაინის ჩივილი, მის მოგონებებში კაზაკთა თავისუფალ ცხოვრებაზე თქვენ იგრძნობთ მთელი ხალხის მოგონებას".

საყურადღებოა, რომ შევჩენკოს ხალხურობას, განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ რუსეთის დიდი დემოკრატი მწერლები და კრიტიკოსები. ჰერცენი წერდა: „იგი (შევჩენკო) იმით არის დიდი, რომ სავსებით ხალხური მწერალია, როგორც ჩვენი კოლცოვი, მაგამ მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტია. შევჩენკო პოლიტიკური მოღვაწეა და გვევლინება, როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლი". დობროლუბოვი წერდა: „იგი (შევჩენკო) სავსებით ხალხური მწერალია, მის მაგვარს ჩვენში ვერ მოვეებნით, იგი გამოვიდა ხალხიდან, ცხოვრობდა ხალხთან და იყო დაკავშირებული ხალხთან არა მარტო აზრებით, არამედ ცხოვრების გარემოებითაც."

ნეკრასოვი ამტკიცებდა რომ „შევჩენკოს პოეზიის მიზანი იყო მშობლიური უკრაინის ხალხის ცხოვრების ასახვა".

შევჩენკო შესანიშნავი ლირიკოსია. სახეთა სიუხვე, ფერების ზომიერი და შეხამებული ხმარება, ლექსის მელოდია და მუსიკალობა, სადა ხალხური ენა, გრძნობების გულწრფე-

ლად გადმოცემა აყენებს პოეტს პირველხარისხოვან ლირიკოსთა რიგებში. განსაკუთრებით ნაზგასასმელია სხვადასხვა სტილიური ხერხების მიმართვა ხშირად ერთსადაიმავე ლექსში, ან პოემაში. სტილიური სხვადასხვაობა მჭიდროდ დაკავშირებულია შინაარსთან, აცხოველებს მას, ეხმარება იდეურ გააზრებას და ქმნის ერთ კომპოზიციურ მთლიანობას. საკმარისია დავაკვირდეთ „გაიდამაკებს" და „სიზმარს", რომ დავრწმუნდეთ, თუ რა დიდი ოსტატობით იყენებს პოეტი ზემოდმოყვანილ ხერხს.

უკრაინის ბურჟუაზიული წრეები ცდილობდნენ გამოეყენებინათ პოეტის დიდი სახელი თავისი საზიზღარი მიზნებისათვის. ისინი ჩქმალავდნენ მის ძლიერ მხარეებს და წინ სწევდნენ სუსტს. ამრიგად უდიდესი თავხედობით ლამობდნენ გამოეყენებინათ შევჩენკო თავის დროზად. ჩვენმა დიადმა სტალინურმა ეპოქამ გამოამჟღავნა ბინძური პოლიტიკანების ბნელი ზრახვები და აღადგინა შევჩენკოს სახე მთელი თავისი სიძლიერით. ტ. შევჩენკო უდიდესი დემოკრატი, რევოლუციონერია, რომელიც დაიღუპა ცარიზმთან და მემამულეებთან ბრძოლაში გლეხური რევოლუციისთვის.

აღსრულდა პოეტის ოცნება დღეს,

„ხალხის დიად ჭერქვეშ
ახალ სახლში მარად".

ვიგონებთ და ვიხსენიებთ დაუვიწყარი მებრძოლი პოეტის სახელს უდიდესი მადლობით.

ბიბლიოგრაფია

ლევან მეტრეველი — „ცხრათვალა მზე".

მიმდინარე წელს ფედერაციამ ცალკე წიგნად გამოსცა ლევან მეტრეველის მოთხრობები. კრებულის საერთო სახელწოდებაა „ცხრათვალა მზე". კრებულში მოთავსებულია ამავე სახელწოდების ერთი მოთხრობა, რომელიც ესპანეთის ხალხის გმირულ ბრძოლების ამბავს მოგვითხრობს. ესპანეთის რესპუბლიკის ხალხი გააფთრებით იბრძოდა გერმანიისა და იტალიის ფაშისტების მიერ მოსყიდულ გენერალ ფრანკოს წინააღმდეგ. მწერალს დაკვირვებით უდევნებია თვალი აჯანყების მთელ პროცესისთვის, კარგად შეუსწავლია რესპუბლიკის მებრძოლთა ხასიათი და მათი სახე მხატვრულ ტილოზე მონდომებით დაუხატავს. მოთხრობის ერთერთი მთავარი გმირია საბჭოთა საქართველოდან გაქცეული ემიგრანტის შვილი კაკო ფრონელი. კაკო ფრონელი ხუთი წლის იყო, როდესაც მამა მისმა თავის სამშობლო მიწას მოსწყვიტა და ევროპაში წაიყვანა. 15 წლის კაკოს ევროპაში გარდაეცვალა მამა და უპატრონოდ დარჩა. უმამოდ დარჩენილი ახალგაზრდა ფრონელი სამუშაოს შოვნის მიზნით ევროპის სხვადასხვა ქალაქებში უმიზნოდ დაეხეტებოდა. ევროპის ქალაქებში დამცირება და შიმშილი მისი განუწყვეტელი თანამგზავრი იყო. დიდიხნისა და გაჭირვების შემდეგ კაკო ახერხებდა ფაშისტური იტალიის გემზე უბრალო-შავ-მუშად მოწყობას. აქ იგი გაიცნობს აბისინიის ფრონტიდან დაბრუნებულ დასახიჩრებულ ჯარისკაცებს. მათ შორის იმპერიალისტურ ომში დაბრმავებულ რევოლუციურად მოაზროვნე ჯარის კაცს ჯოვანნის. გემზე ჯიოვანნასა და კაკოს შორის მყარდება მეგობრობის კავშირი, გემზე ირკვევა რომ კაკოს დიდი სურვილი აქვს დაუბრუნდეს თავის სამშობლოს. ჯიოვანი მეგობრულად ურჩევს მას მოახერხოს თავის გათავისუფლებულ ქვეყანაში წასვლა.

კაკომ გემზე შეამჩნია აბისინიდან მომავალი სამი საბჭოთა კინოოპერატორი. ჯოვანთან საუბრის შემდეგ ფრონელმა გადასწყვიტა ოპერატორებთან მისვლა. სალამოს, ეამს, იგი ყველასათვის შეუმჩნეველად ახერხებს საბჭოთა კინო-ოპერატორებთან კაიუტაში შესვლას. კაიუტაში ფრონელს და საბჭოთა მუშაკებს შორის იმართება გულთბილი საუბარი. ამ საუბარმა კიდევ უფრო მეტად ააღელვა კაკო და გაუორკეცა წყურვილი საქართველოს ხილვისა. კინო ოპერატორების ამაღლებული სიტყვების შემდეგ ჭემი „პრინცესა მაფალდა" ეეღარ იტევდა ფრონელის გულს და საბჭოთა ქვეყანაში დაბრუნების გეგმებს. კაკოსა და ოპერატორების შეხვედრა არ გამოპარვიათ იტალიის „იმპერიის" ჯაშუშებს. გემის ხელისუფლება აპატიმრებს ფრონელს და გზავნის ფაშისტურ იტალიის პოლიციის საკანში. ნეაპოლის პოლიციის ჯურღმულებში კაკომ რამდენიმე დღე დაყო; ტანჯვის და წამების შემდეგ გათავისუფლებული ფრონელი მიემგზავრება რომში. რომში იგი ერთერთ კაფეში გაიგებს, რომ იწვევენ „მოხალისეებს" ესპანეთში წასასვლელად — ფრანკოს მხარეზე. კაკომაც გადასწყვიტა უეჭველად წავიდეს „მოხალისედ". მწერალი სწერს, რომ „საფუძვლიანი დაკითხვისა და გამოძიების შემდეგ კაკო, თავისი განცხადების თანახმად, მიიღეს ტანკისტთა არმიაში". აქედან იწყება ესპანეთის ფრონტი და კაკოს გმირობა რესპუბლიკის სასარგებლოდ.

კაკო წინასწარ განზახვით ჩაეწერა იტალიის „მოხალისეთა" რაზმში, რომ იქიდან რესპუბლიკის სასარგებლოდ ემოქმედნა. მართლაც მან შესძლო რესპუბლიკისთვის დიდი სამსახური გაეწია. ფაშისტების ტანკზე მოქცეულმა კაკომ გადამწყვეტ მომენტში ტანკის ზარბაზნები რესპუბლიკის წინააღმდეგ კი არ აამუშავა, არამედ თავის ზურგში ამოკრა შედა.

„მალე რესპუბლიკელებმა შეამჩნიეს, რომ ჩამორჩენილმა მესამე (კაკოს) ტანკმაც აამუშავა ზარბაზნები. მხოლოდ ეს ზარბაზანი როგორღაც მიმართული იყო პირველი ორი

ტანკის წინააღმდეგ და მიზანსაც იშვიათად სცდებოდა მისი ნასროლი". კაკომ გაანადგურა ფაშისტების ორი ტანკა თავის ტანკიო კი მიუახლოვდა რესპუბლიკანელებს და საბოლოოდ შეუერთდა მათ. ამის შემდეგ კაკო ფრონელი ესპანეთის რესპუბლიკის შესანიშნავი მებრძოლი გახდა, მან თვალის სინათლეც კი დაკარგა ესპანეთის ფრონტზე. კაკო ფრონელი თავის გმირობის შედეგად საბჭოთა კავშირში მომავალ ესპანეთის რესპუბლიკური მებრძოლების დელეგატთა რიცხვში მოხვდა. საბჭოთა კავშირის ხალხი ესპანელ დელეგატებს აღრფთოვანებით შეხვდა. კაკომ იგრძნო საბჭოთა კავშირის ხალხის სითბო. მის უსინათლო თვალებს საქართველოს მზემ მშობლიური დედის ხილვის საშუალებაც კი მისცა. ამგვარად, „ცხრათვალა მზე" უსათუოდ კარგად დაწერილ ანტიფაშისტურ მოთხრობათა რიცხვს ეკუთვნის. მოთხრობაში არ არის არც ერთი ყალბი ადგილი. მოთხრობის ყველა გმირი დამაჯერებლად არის მოცემული. განსაკუთრებით ესპანელი ქალი რემედიო, რომელიც ესპანელ მებრძოლ ქალთა მაღალი აზრების და სულის გამომხატველია. მოთხრობაში არის შესანიშნავი ადგილები, რომელიც მწერლის მაღალი მხატვრული გემოვნების მაჩვენებელია.

წიგნში მოთავსებული მეორე მოთხრობა „მიგნებული საუნჯე" საყურადღებო საკითხებს ეხება. მოთხრობაში მოცემულია აქა-იქ ჯერ კიდევ დარჩენილი სახელმწიფო ქონების მფლანგველ ადამიანთა უაზრო ცხოვრება და მათი ბედი.

მოთხრობა „სანეტარო განთიადი" ასახავს მენშევიკების საზიზღარ ბატონობას საქართველოში და მშრომელთა ბრძოლას თავისუფლებისათვის, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

ისტორიული ხასიათის მოთხრობა „გატეხილი ხმალი" გადმოგვცემს სვიმონ მეფის მიერ წარმოებულ ბრძოლებს საქართველოს ოსმალეთისაგან გათავისუფლებისათვის. მოთხრობაში კარგად არის გადმოცემული ხალხის სიყვარული „ვეფხის ტყაოსნისადმი" და ხალხის წრიდან გამოსული დიდი მოურავის მამის შიოშ სააკაძის გმირობა და თავდადება საქართველოსათვის.

ლევან შეტრეველის ახალი მოთხრობები ეკუთვნის კარგი ქართული ენით დაწერილ მხატვრულ ღირებულების და იდეურად გამართლებულ საინტერესო საკითხავ წიგნთა რიცხვს.

ვლ. ჯიბუტი.